12.6	დასკვნები და რეკომენდაციები – 1. სალიცენზიო ობიექტი (კირქვა) რომელიც წარმოდგენილია სამ უბნად, მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით; 4. ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისაკენ, მოქმედი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვით, ფერდობის ბუნებრივი მდგრადობის შენარჩუნებით; 5. ობიექტის დამუშავების დროს უნდა აიკრძალოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება; 6. ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით; 7. წიაღითსარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 8. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3-7) გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტზე წიაღისეულის მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წივნის) ავტორი (ავტორები) – ბ. ქოიავა, ზ. მაცაბერიძე, მ. კუხალაიშვილი
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1966 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – №11735

შემსრულებლები:

ს. შკალავიშვილი, ნ. ჩომახიძე, დ. პირკულავი, ზ. ბერიაშვილი, ნ. ბებია

შეთანხმებულია,

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი



შერაბ ჩალათაშვილი



საქართველო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA

KHARAGAULI MUNICIPALITY CITY HALL



5600, ხარაგაული, 9 აპრილის ქ. N15, ტელ. : (433) 22 15 20 Kharagauli, 9 aprili str. N15, Tel. . (433) 22 15 20. Email: kharagauli.municipality@gmail.com

N 49/6231
05/12/2019

6231-49-2-201912051208



ს.ს.ი.პ. წიადის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველ მოადგილეს ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ასლი: იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს

ქალბატონო ნანა,

2019 წლის 29 ნოემბრის 22/9132 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღმდეგი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ღორეშას ადმინისტრაციული ერთეულის ტეროტორიაზე, წერილზე თანდართულ ტოპოგრაფიულ რუკაზე მითითებულ I, II და III უბნებზე გაიცეს კირჭვის მოპოვების ლიცენზია.

პატივისცემით

ნიკოლოზ თოფურაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მერია





საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2591/01
10/03/2020

2591-01-2-202003101408



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას
სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გიგზავნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 9 მარტის №2-210 ბრძანებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბრძანების ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე





საქართველოს გაეროს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-210

ქ. თბილისი

09/03/2020

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორემას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორემას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორემას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, 890625 მ³ „ღორემას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორემას მიმდებარე ტერიტორიაზე. სამ უბნად წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზემო იმერეთის დაბალმთიან გორაკ-ბორცვიან ზონაში, ზღვის დონიდან 730-775 მეტრის სიმაღლეზე. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: I უბანი- 1) X- 357984,1435; Y- 4660991,5754; 2) X-357991,2934; Y-4660995,4133; 3) X-358009,8208; Y-4660986,3391; 4) X- 358048,5979; Y-4661015,4219; 5) X-358046,5917; Y-4661025,0962; 6) X-358072,6143; Y- 4661039,0646; 7) X-358036,7681; Y-4660821,6933; 8) X-357987,4717; Y-4660839,2487; 9) X- 358001,6784; Y-4660902,6112; 10) X-357959,9076; Y-4660926,3351; II უბანი- 1) X-358094,1389; Y-4660900,7966; 2) X-358425,5302; Y-4660749,3224; 3) X-358433,0436; Y-4660649,1324; 4) X- 358408,9485; Y-4660433,5625; 5) X-358045,9782; Y-4660687,3253; III უბანი: 1) X- 358117,5404; Y-4660625,1464; 2) X-358475,1351; Y-4660375,1418; 3) X-358253,6645; Y-4660265,4943; 4) X- 358106,0259; Y-4660383,8163; 5) X- 358109,4716; Y-4660456,0336; 6) X-358128,0630; Y- 4660461,9291; 7) X-358123,8672; Y- 4660476,2213; 8) X-358110,6911; Y-4660481,5941. ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. ღორემა, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 630 მეტრში მდებარეობს. სალიცენზიო ობიექტს ესაზღვრება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია. მესამე უბანი კვეთს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ გრუნტის გზას.

წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი აგებულია ცარცული ასაკის, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანებით-კირქვები, მერგელოვანი კირქვები, რომლებიც ზემოდან გადაფარულია მცირე სიმძლავრის დელუვიური საფარით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, წიაღისეულის მოპოვების ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტის ფართობია: I უბანი- 12210 მ², II- 100445 მ² და III- 65470 მ², ჯამში 178125 მ², საშუალო სიმძლავრე-5 მ. წიაღისეულის მოპოვების ობიექტის დამუშავება მოხდება ღია კარიერული წესით.

სალიცენზიო ობიექტზე წიაღისეულის მარაგების რაოდენობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია (P) პროგნოზული კატეგორიით და შეადგენს: I უბანი- 61050 მ³, II უბანი- 502225 მ³ და III უბანი- 327350 მ³, ჯამში 890625 მ³. ობიექტიდან მოპოვებული წიაღისეული გამოყენებული იქნება სამშენებლო საქმიანობაში (სხვა სამშენებლო მასალა).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სალიცენზიო ობიექტი ესაზღვრება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

ღია კარიერული წესით დამუშავებისას მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელებას ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების პროცესში, ასევე ნედლეულის ტრანსპორტირებისას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე. ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროები იქნება სატრანსპორტო საშუალებები.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ობიექტის დამუშავების დროს აკრძალული იქნება ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება. მაგრამ, განცხადებიდან არ ჩანს წიაღისეულის მოპოვების კონკრეტული მეთოდი, მოპოვების ხანგრძლივობა, ინფორმაცია საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ, ასევე, საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების წარმოქმნის საკითხი, რაც სალიცენზიო ფართობის გათვალისწინებით მოითხოვს დამატებით შესწავლას და შეფასებას. განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით-წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წილთსარგებლობის ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანები უნდა დასაწყობდეს შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. თუმცა, არ არის დაზუსტებული ინფორმაცია, მათი მოცულობების და განთავსების შესახებ.

ობიექტის დამუშავებისას წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობიდან გამომდინარე, მათი განთავსების მიზნით, საჭირო იქნება ახალი ტერიტორიების ათვისება და სანაყაროებისთვის შესაბამისი პროექტის შემუშავება. ამასთან დიდი რაოდენობით მოსახსნელი ნიადაგის საფარის და ფუჭი ქანების დასაწყობება/რეკულტივაცია მოითხოვს რეკულტივაციის დეტალური პროექტის შემუშავებას 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია 1966 წელს მომზადებული გეოლოგიური ანგარიში. შესაბამისად, გეოლოგიური საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადებაში არ არის შეფასებული საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დამატებით შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში წერილობითი შენიშვნები წარმოადგინა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“, რომელიც ეხება სკრინინგის ანგარიშის არასრულფასოვნად შესრულებას. შენიშვნის ძირითადი არსი მდგომარეობს, იმაში, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით უცნობი რჩება საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი, ხარისხი და კომპლექსურობა.


სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ პროექტის განხორციელება დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ფართობზე (დაახლოებით 18 ჰა.) ახალი ტერიტორიის ათვისებასთან, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო**



KA020154490431220

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/721

03 / თებერვალი / 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადანყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენთ სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე 890 625 მ³ „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების (ID-49314, 29.10.2019) სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია სამ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 730-775 მეტრ სიმაღლეზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვერდი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი - სოფ. ღორეშას კირქვის გამოვლინება
2	გენეტიკური ტიპი - დანალექი
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - სამშენებლო
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა
4.1	რეგიონი - იმერეთი
4.2	მუნიციპალიტეტი - ხარაგაული
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფელი ღორეშა
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - რკ/ს ხარაგაულიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 11-12 კმ (პირდაპირი მანძილი)
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან - აღემატება 5 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს.
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. ძირულა

წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები -

წარმოდგენილი კოორდინატები:

კორექტირებული კოორდინატები:

I უბანი			II უბანი		
N	X	Y	N	X	Y
1	357984.1435	4660991.575	1	358094.1	4660901
2	358072.6143	4661039.065	2	358425.5	4660749
3	358036.7681	4660821.693	3	358433	4660649
4	357987.4717	4660839.249	4	358408.9	4660434
5	358001.6784	4660902.611	5	358046	4660687
6	357959.9076	4660926.335	Σ = 100,445 კვ.მ		
Σ = 12,950 კვ.მ			III უბანი		
			N	X	Y
			1	358117.5	4660625
			2	358475.1	4660375
			3	358253.7	4660265
			4	358106	4660384
			Σ = 65,785 კვ.მ		
			WGS 1984		

I უბანი			II უბანი		
N	X	Y	N	X	Y
1	357984.1435	4660991.5754	1	358094.1389	4660900.7966
2	357991.2934	4660995.4133	2	358425.5302	4660749.3224
3	358009.8208	4660986.3391	3	358433.0436	4660649.1324
4	358048.5979	4661015.4219	4	358408.9485	4660433.6625
5	358046.5917	4661025.0962	5	358045.9782	4660687.3253
6	358072.6143	4661039.0646	Σ = 100445 კვ.მ		
7	358036.7681	4660821.6933	III უბანი		
8	357987.4717	4660839.2487	N	X	Y
9	358001.6784	4660902.6112	1	358117.5404	4660825.1464
10	357959.9076	4660926.3351	2	358475.1351	4660375.1418
Σ = 12210 კვ.მ			3	358253.6645	4660265.4943
WGS 1984			4	358106.0259	4660383.8163
			5	358109.4718	4660458.0336
			6	358128.0830	4660461.9291
			7	358123.8872	4660478.2213
			8	358110.6911	4660481.5941
			Σ = 65470 კვ.მ		
			WGS 1984		

4.7



ვინაიდან, სალიცენზიოდ წარმოდგენილი I და III უბნების კოორდინატები კვეთდა ტყის ფონდის ტერიტორიას, ამიტომ მოხდა კოორდინატების კორექტირება



4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 730-775 მ
4.9	კლიმატური პირობები - ზომიერად თბილი კლიმატი. საშუალო წლიური ტემპერატურაა +13,3°C, ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა - 600-813 მმ
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან - გრუნტის გზები: I უბანი - 61 მ, 27 მ, II უბანი - 87 მ, III უბანი - 19 მ, ასევე, კვეთს (მუნიციპალიტეტის ბაღანსი)

5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან –
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –
5.4	დამატებითი მონაცემები –
6	სატყეო რესურსები
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება.
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია
7.1	ტექტონიკური დარაიონება – ამიერკავკასიის მთათაშუა არე, ცენტრალური აზეგების ზონა, ძირულის ქიზონა
7.2	გეოლოგიური აგებულება – რაიონში ყველაზე ძველი ქანები წარმოდგენილია პრეკამბრიული და ქვედა პალეოზოური გრანიტებით, გრანოდიორიტებით, გნეისებითა და კრისტალური ფიქლებით, რომლებიც აგებს ძირულის მასივის ფუნდამენტს. მასივის პერიფერიები აგებულია შედარებით ახალგაზრდა – მეზოზოური და მესამეული – ნალექებით, სადაც ისინი უშუალოდ არის განლაგებული ძველ კრისტალურ ქანებზე. საბადოს რაიონში, რომელიც ძირულის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე მდებარეობს, მეზოზოური ნალექებით აგებულია ანტიკლინი, რომლის სამხრეთ ფრთასთან დაკავშირებულია მოლითის საბადო.
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
8.1	გეოლოგიური აგებულება – სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია აგებულია ზედა ცარცული (სენონი) ქვიშაქვებით, მკერვი მერგელიანი კირქვებით, კაეის კონკრეციების ჩანართებით, რომლებზეც განლაგებულია პროდუქტული წყება – კირქვები. ქანი წვრილმარცვლოვანია, მკერვი, მასიური.
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – შრებრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გაფრცხლება (მიმართებით და დაქანებით) – ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტების პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – საშუალო სიმძლავრე – 5 მ
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი – დაქანებულია ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაქანების კუთხე – 30°
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – არ არის დაძიებული
9.2	საძიებო სამუშაოები – არ არის ჩატარებული
9.3	დასინჯვა – არ არის დასინჯული.
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – არ არის შესწავლილი
9.5	პიგინურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – სამშენებლო საქმეში (სხვა საშენი მასალა)
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – არ არის დაძიებული
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – I უბანი – 12210 მ ² , II უბანი – 100445 მ ² , III უბანი – 65470 მ ² .
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – ფართობი: I უბანი – 12210 მ ² , II უბანი – 100445 მ ² , III უბანი – 65470 მ ² ; საშუალო სიმძლავრე – 5 მ
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი – საშუალო არითმეტიკული
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) – სალიცენზიო ობიექტზე დათვლილია პროგნოზული (P კატეგორია) მარაგები შემდეგი ოდენობით: I უბანი – 12210 x 5 = 61050 მ ³ ; II უბანი – 100445 x 5 = 502225 მ ³ ; III უბანი – 65470 x 5 = 327350 მ ³ ; ჯამური მარაგი – 890625 მ ³
10.6	თანმდევრი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები –
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები –
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები – ხელსაყრელია.
	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი.

	ობიექტზე ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი.
113	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ – გამომუშავების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფიები.
12	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინერო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (კირქვა), რომელიც წარმოდგენილია სამ უბნად, მდებარეობს ზემო იმერეთის დაბალმთიან გორაკ-ბორცვიან ზონაში და მოიცავს უსახელო გორაკის (ახს. 776,1მ) როგორც თხემურ, ასევე მის ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ პერიფერიულ ნაწილებს. რელიეფის ზედაპირი ტალღოვანია, სოფ ადგილებში შეინიშნება გადარეცხილი ზედაპირი (დელუვიონი) სადაც ფიქსირდება ძირითადი ქანის – კირქვის მასიური გამოსაყლები; პირველ უბანზე კი აღნიშნული რესურსი გაშიშვლებულია და წარმოდგენილია – 8-10 მ-მდე სიმაღლის ბუნებრივი, თითქმის ციკაბო კედლით. სალიცენზიო უბნებზე ფერდობების დახრილობა არათანაბარია და საშუალოდ – 10-25 ⁰ –ის ინტერვალში მერყეობს. წარმოდგენილი უბნები და მისი მიმდებარე ტერიტორია ხოგან შ მოსი ღია მ უ ხერი ბ ქ ნართ.
12.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (კირქვა), რომელიც წარმოდგენილია სამ უბნად, მდებარეობს ზემო იმერეთის დაბალმთიან გორაკ-ბორცვიან ზონაში და მოიცავს უსახელო გორაკის (ახს. 776,1მ) როგორც თხემურ, ასევე მის ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ პერიფერიულ ნაწილებს. რელიეფის ზედაპირი ტალღოვანია, სოფ ადგილებში შეინიშნება გადარეცხილი ზედაპირი (დელუვიონი) სადაც ფიქსირდება ძირითადი ქანის – კირქვის მასიური გამოსაყლები; პირველ უბანზე კი აღნიშნული რესურსი გაშიშვლებულია და წარმოდგენილია – 8-10 მ-მდე სიმაღლის ბუნებრივი, თითქმის ციკაბო კედლით. სალიცენზიო უბნებზე ფერდობების დახრილობა არათანაბარია და საშუალოდ – 10-25 ⁰ –ის ინტერვალში მერყეობს. წარმოდგენილი უბნები და მისი მიმდებარე ტერიტორია ხოგან შ მოსი ღია მ უ ხერი ბ ქ ნართ.
12.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინერო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ცარცული ასაკის, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანები – კირქვები, მერგელოვანი კირქვები, რომლებიც ზემოდან გადაფარულია მცირე სიმძლავრის დელუვიური საფარით. საინჟინერო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
12.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული კვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) – სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ არის აღინიშნული.
12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური ართ – არ არის მოსალოდნელი.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ობიექტის დამუშავების დროს უნდა აირეკოს ბუნებრივი მდგრადობის შენარჩუნებით. ობიექტის დამუშავების დროს უნდა აიკრძალოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება;
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები – 1. სალიცენზიო ობიექტი (კირქვა) რომელიც წარმოდგენილია სამ უბნად, მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ღორქვას მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინერო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით; 4. ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს პიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისაკენ, მოქმედი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვით, ფერდობის ბუნებრივი მდგრადობის შენარჩუნებით; 5. ობიექტის დამუშავების დროს უნდა აიკრძალოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება; 6. ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით; 7. წიაღითსარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 8. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3-7) გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტზე წიაღისეულის მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის არასახიზნავს.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდის აბრევიატურა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – ბ. ქოიავა, ზ. მაცაბერძიძე, მ. კუხიანიძე
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1966 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – №11735

შემსრულებლები:

ბ. მკალავეიშვილი, ნ. ჩომახიძე, დ. პირკულავი, ზ. ბერიაშვილი, ნ. ბებია


შეთანხმებულია,

სასარგებლო წიაღისეულის მართვის

დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი



K-38-63-Г-a K-38-63-Г-b
 ნომენკლატურის 1:10 000 მასშტაბის
 ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

ლიცენზიის № _____

მიწისა და სამთო მონაკვეთის საზღვრები
 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ღორეშას
 მშენებარე ტერიტორიაზე არსებული
 სასარგებლო წიაღისეულით (კარქვა)
 სარგებლობის ობიექტისათვის
 კუთხეთა წვეროების კოორდინატები

I უბანი			II უბანი		
№	X	Y	№	X	Y
1	357984,1435	4660991,5754	1	358094,1389	4660900,7966
2	357991,2934	4660995,4133	2	358425,5302	4660749,3224
3	358009,8208	4660986,3391	3	358433,0436	4660649,1324
4	358048,5979	4661015,4219	4	358408,9485	4660433,5625
5	358046,5917	4661025,0962	5	358045,9782	4660687,3253
6	358072,6143	4661039,0646	S= 100445 კვმ		
7	358036,7681	4660821,6933	III უბანი		
8	357987,4717	4660839,2487	№	X	Y
9	358001,6784	4660902,6112	1	358117,5404	4660625,1464
10	357959,9076	4660926,3351	2	358475,1351	4660375,1418
S= 12210 კვმ			3	358253,6645	4660265,4943
WGS 1984			4	358106,0259	4660383,8163
			5	358109,4716	4660456,0336
			6	358128,0630	4660461,9291
			7	358123,8672	4660476,2213
			8	358110,6911	4660481,5941
			S= 65470 კვმ		
			WGS 1984		

96

პოზიცია

საინფორმაციო კითხვარი

1	წიაღისარგებლობის ობიექტი - ჩურჩუტო-ჩიხელის ბენტონიტური თიხის საბადო გენერტური ტიპი - დანალექი
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - სამთო-ქიმიური ნედლეული წიაღისარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა
4.1	რეგიონი - სამცხე - ჯავახეთი
4.2	მუნიციპალიტეტი - ადიგენი
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. ბენარა
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - რ/ც ადიგენიდან აღმოსავლეთით 14-15 კმ (პირ აპირი მანძილი)
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან - აღემატება 5 კმ-ს / აღემატება 20 მ-ს
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. ფოცხოვისწყალი

წიაღისარგებლობის ობიექტის კოორდინატები -

N	X	Y
1	323834 612	4616612.297
	323887,880	4616624 774
3	323906 824	4616616 201
4	324140 716	4616478 300
5	324236 178	4616596 940
6	324234,062	4616612 391
7	324336 932	4616767 649
8	324362 861	4616769 977
9	324405 724	4616245 149
10	324408 793	4818224 829
11	324418,106	4616107 883
12	324419 799	4616063 221
13	324371 751	4616057 718
14	324367,200	4616093 595
15	324221 785	4616069 042
16	323973,589	4615966 482
S = 278 130 კმ.მ		
WGS 1984		



4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 1230-1350 მ
4.9	კლიმატური პირობები - კონტინენტური კლიმატი. ნალექების წლიური რაოდენობა 500-700 მმ, ზამთარში საშუალო ტემპერატურა -8-6°C, ზაფხულში - +15-25°C ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის დერეფიდან - აღემატება 100 მ-ს.
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან -
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან -
5.4	დამატებითი მონაცემები -
6	სატყეო რესურსები
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში - არ ფიქსირდება
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური - არ ფიქსირდება
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები -

7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია
7.1	ტექტონიკური დარაიონება - მცირე კავკასიონის ნაოჭა (ნაოჭა-შეცოცვებითი) სისტემა, ა. არა-თრიალეთის ზონა, სამხრთი ზონა, ახა... გეოლოგიური აგებულება - საბადოს რაიონში ყველაზე ძველია შუა ეოცენური ეულკანოგენური წარმონაქმნები - ტუფები, ტუფობრექჩიები, ტუფოკონგლომერატები, ტუფოქვიშაქვები, ანდეზიტებისა და პორფირიტების შიდაფორმაციული განფენებით. ზედა ეოცენური ნალექები ფართოდაა გავრცელებული რაიონის ცენტრალურ და ჩრდილო ნაწილში და წარმოდგენილია ანდეზიტ-დაციტების განფენებით, მათი ტუფობრექჩიებით, კულონამრბითა და უკონგლომერატებით, რომლებიც
7.2	

მორიგეობს ქვიშიან-მერგელიან ფენებთან.

ოლიგოცენური ნალექები წარმოდგენილია თიხებისა და ქვიშაქვების, ნახშირიანი და ფერადი წყებებით.

ფერად წყებაზე უთანხმოდ არის განლაგებული ზედა მიოცენ-ქვედა პლიოცენური გოლდერძის (ქისათიბის) წყება, რომელიც აგებულია საშუალო და მჭავე პიროკლასტოლითებითა და ანდეზიტ-დაციტური და ანდეზიტური შემადგენლობის ლაეური განფენებით.

მთხის ნალექები ალუვიურ-დელუვიური ნალექებით არის წარმოდგენილი

8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
8.1	გეოლოგიური აგებულება – ჩურსუტო-ჩიხელის ბენტონიტური თიხის საბადო აგებულია ზედა ოლიგოცენის ფერადი და მიო-პლიოცენური გოლდერძის წყებების ქანებით, რომლებიც გადაფარულია მცირე სიმძლავრის მეოთხეული დელუვიურ-ელუვიური წარმონაქმნებით. ბენტონიტური თიხები შრეების სახით არის განლაგებული ფერადი წყების ზედა ნაწილში, სადაც ისინი მორიგეობენ ქვიშაქვებისა და ტუფოქვიშაქვების შრეებთან. შრეთა რაოდენობა 6-დან 10-მდეა, მათი სიმძლავრეები – 3-დან 30 მეტრამდე. პროდუქტული ფენის სიმძლავრე 400 მ-მდე აღწევს.
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – ფენობრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – პროდუქტული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტების პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – პროდუქტული ფენის სიმძლავრე 400 მ-მდე აღწევს. შრეთა სიმძლავრეები 3-დან 30 მეტრამდე.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოდის ელემენტი – ფენა დაქანებულია ჩრდილო-სასაბურთო თით, 20-45°-იანი თხილად.
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური ახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – საბადო შესწავლილია დეტალურად. მანძილი საძიებო ხაზებს შორის: B – 100 x 100 მ; C ₁ – 100 x 200 მ;
9.2	საძიებო სამუშაოები – საბადოზე გაყვანილია ტაბურდოები (2057 გრ/მ), თხრილები (2350 მ ³), საბურთო არხი (640 მ ³).
9.3	დასინჯვა – აღებულია ღარული (148 ც.), კერნული (723 ც.), ტექნოლოგიური (1 ცალი) სინჯები.
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – პროდუქტული წყება წარმოდგენილია ბენტონიტური თიხებით. თიხების ძირითადი შემადგენელი მინერალია მონტმორილონიტი, რომლის რაოდენობა 60-90%-ს შეადგენს. ქიმიური შემადგენლობა: SiO ₂ – 45.63-55.40%; MgO – 1.72-3.49%; TiO ₂ – 0.34-0.52%; MnO – 0.03-0.45%; Al ₂ O ₃ – 15.47-16.49%; Na ₂ O – 0.50-2.20%; Fe ₂ O ₃ – 5.20-6.98%; K ₂ O – 0.57-1.40%; CaO – 1.72-5.41%; P ₂ O ₅ – 0.03-0.21%; დანაკარგები გახურებისას – 10.02-19.20%.
9.5	თიხის ხსნარის გამოსავალი – 1.5-3.9 მ ³ /ტ. ჰიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – შესწავლილია და შეადგენს 10-16 მკრ/საათში, მიეკუთვნება I კლასს და შეიძლება გამოყენებული იქნას მშენებლობაში უსაფრთხოდ.
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – ქაფებისა და აქაფებული სუსპენზიების სტაბილიზატორად გამოყენებისათვის. გარდა ამისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას რკინის მადნების კონცენტრატების მოგუნდვისათვის, საყალიბ ნარეგების შემაკავშირებელ მასალად ფოლადწამოსასხმელ წარმოებაში, ნათობრობისა და ზოთბის ასაწმინდას.
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები

10.1	ობიექტის დაძვების ხარისხი (სტადია) – დეტალური ძიება
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – სალიცენზიო ობიექტის ფართობია 278130 მ ²
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – ფართობი – 278130 მ ² , დამუშავების პერიოდია – 1230 მ.
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი – საბადოზე მარაგები დათვლილია ვერტიკალური კრიტერიუმების მთლიანად.
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) – ჩურჩუტო-ჩიხელის ბენტონიტური თიხის საბადოზე არსებული მარაგები ირისცხება საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე შემდეგი ოდენობით: B კატეგორია – 4223 ათ. ტ; C ₁ კატეგორია – 12390 ათ. ტ; B+C ₁ კატეგორიები – 16613 ათ. ტ.
10.6	თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები – არ არის დადგინებული
10.7	მარაგების გარდის ძირითადი მიმართულებები – საბადოს ფლანგებისა და ღრმა პერიოდების შესწავლა.
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები – საბადოს დამუშავების ჰიდროგეოლოგიური პირობები ხელსაყრელია. სამთო გამონამუშევრებში არ დაფიქსირებულა მიწისქვეშა წყლების მოდინება. წყალშემცველ პერიოდები არ არის. ტერიტორია მდებარეობს ადგილობრივი ეროზიის ბაზისის ზემოთ. ასევე ხელსაყრელია სამთო-ტექნიკური პირობები.
11.2	წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე ეკოლოგიური წინასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანი.
11.3	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებულია ტოპოგრაფიული აგეგმვა 1:1000 მასშტაბში. დამუშავების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ საბადოს ტერიტორიის კალაპოტები.
12	წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის მორფოლოგია – წიაღისეულის სასარგებლო ობიექტი (ბენტონიტური თიხა) მდებარეობს სამხრეთული ექვაპოზიციის 15-20 ⁰ -ის დახრილობის ფერდობზე. ტერიტორია ხასიათდება გორაკ-ბორცვიანი რელიეფით.
12.2	წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება III (რთული) კატეგორიას.
12.3	წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოლინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში) ნაპირების ეროზიის კალაპოტში წარმოადგინებულია აქვანა – ეროზიონამიკური სიტუაცია და აბილირია.
12.4	წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი მიმდინარეობის რისკები – მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოლინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახევა – ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით დასაყენები და რეკომენდაციები –
12.6	<ol style="list-style-type: none"> 1. წიაღისეულის სასარგებლო ობიექტი (ბენტონიტური თიხა) მდებარეობს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ბენარას მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება III (რთული) კატეგორიას; 3. ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით; 4. მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღისეულის სასარგებლო ობიექტის პროექტის მიხედვით;

5. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე, ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან;
6. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3, 4 და 5) გათვალისწინებით, ობიექტზე წიაღისეულის მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოლინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ა იგ ავტო ავტ – 1. ე. ნიკოლაიშვილი, ჯ. რაზმაძე, ... კომისიის ოქმი №5; 3. საბადოს პასპორტი B - 548
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1. 1997 წ.; 2. 24. 02. 1998 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 1. №19046; 2. №19088

შემსრულებლები:

ს. მკალავეიშვილი, ნ. ჩომახიძე, ე. ბაქანიძე, დ. პირკულოვი

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის

დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩიქვაშვილი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია



N 247/09
22/01/2020

247-09-2-202001220934



სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველ მოადგილეს **ქალბატონ ნანა ზამთარაძეს**

ქალბატონო ნანა,

თქვენი მ/წლის 15 იანვრის N22/233 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში სოფელი ბენარის მიმდებარე ტერიტორიაზე თიხის მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხს ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, გაცნობებთ, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემაზე ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით მერიას საწინააღმდეგო მოსაზრება არ გააჩნია.

ზაქარია ენდელაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია





საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1425/01
06/02/2020

1425-01-2-202002061405



სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 4 თებერვლის №1708 წერილი, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარას მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი 278130 მ²), 16 613 000 ტონა ბენტონიტური თიხის მოპოვების პროექტს.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 26-ე პუნქტის შესაბამისად, **წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.**

თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ფართობი შეადგენს 278130 მ²-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე





საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-170

24/02/2020

ქ. თბილისი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ ნახშირმჟავა მინერალური წყლის (სასარგებლო წიაღისეულის) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ნახშირმჟავა მინერალური წყლის (სასარგებლო წიაღისეულის) 416 100 მ³/წელიწადში (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე. წიაღისეულის საბადოს ობიექტის (ჭაბურღილების-N2; N3; N4) GPS კოორდინატებია: N2-X-469900,989; Y-4721672,109; N3 X 469588,919; Y-4721062,95; N4-X-469767,812; Y 4721804,264. ჭაბურღილები (N2, N3, N4) მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა ჭაღის ტერასაზე, ზღვის დონიდან 1750-1800 მეტრზე. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტია დაბა სტეფანწმინდა, რომელიც სალიცენზიო ობიექტის ტერიტორიიდან დაახლოებით 780 მეტრში მდებარეობს. წარმოდგენილი GPS კოორდინატების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ჭაბურღილიდან (N2) ყაზბეგის ეროვნული პარკი დაშორებულია 420 მეტრით, ხოლო მდ. თერგი 320 მ ით.

ჰიდროლოგიური დარაიონების მიხედვით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ყელი-ყაზბეგის ლავური განფენის გრუნტის წყლების რაიონს. ფანშეტის საბადოს გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ქვედა იურის ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია თიხა ფიქლებით - ქვიშაქვების შუაშრეებით. მათი სიმძლავრე 1000 მეტრამდე აღწევს. ფანშეტის საბადოს ყველა ჭაბურღილის წყალი დაკავშირებულია მეოთხეული ასაკის ალვიურ-ტბიურ ნალექებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობა შეადგენს 416 100 მ³-ს წელიწადში. სალიცენზიო ობიექტების სავარაუდო სიღრმეებია ჭაბურღილის: N2-196 მეტრი; N3-200 მეტრი; N4 190 მეტრი. აღსანიშნავია, რომ ფანშეტის მინერალური წყლების საბადო შესწავლილია საძიებო სამუშაოების დონეზე. წყლის რაოდენობა წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყალშემცველი ჰორიზონტისთვის დამახასიათებელია ნახშირმჟავა მინერალური წყალი, რომელიც ჰიდროკარბონატულ ნატრიუმ-კალციუმიანი ტიპისაა. წყალი საშუალო კონცენტრაციის ნახშირმჟავიანია, pH=6,2-6,4, საერთო მინერალიზაცია 1,3-19 გ/ლ და შეიცავს ძირითად კომპონენტებს შემდეგი რაოდენობით: HCO3 860 1185 მგ/ლ(70-80% ექვ) ; Cl-100-200; (N+K)-195-320 გ/ლ (20-25 % ექვ); Ca 100-140 და Mg 15-80 მგ/ლ (20-25% ექვ). ნახშირმჟავას შემადგენლობა

გახსნილ გაზში მერყეობს 93-98%-მდე. ფანშეტის მინერალური წყლები ბაქტერიოლოგიურად სუფთაა, იგი უფერო და უსუნოა, არ შეიცავს მექანიკურ მინარევებს, არ იცვლება დგომის დროს. წყლის ტემპერატურა 10-13 °C-ია.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას. ჭაბურღილების განთავსების უბნებზე საშიში გეოლოგიური პირობები არ შეინიშნება. ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსიდება დაჭაობებული უბნები. ჭაბურღილების ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ჭაბურღილები საჭიროებს თავმორთულობის მოწესრიგებას და შემოღობვას. ვინაიდან, ჭაბურღილების წყალი აჭაობებს მიმდებარე ტერიტორიას, საჭიროა მოეწყოს სადრენაჟე არხი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ჭაბურღილის ექსპლუატაციისას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მინიმალური (მოსახლეობიდან დაშორების მანძილის გათვალისწინებით).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას. არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებას და ხმაურს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ნახშირმჟავა მინერალური წყლის მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.


ზემაღნიშნული პრაქტიკების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ნახშირმჟავა მინერალური წყლის (სასარგებლო წიაღისეულის) მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2215/01
27/02/2020

2215-01-2-202002271407



ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გიგზავნით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ ნახშირმჟავა მინერალური წყლის (სასარგებლო წიაღისეულის) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 24 თებერვლის №2-170 ბრძანებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბრძანების ყაზბეგის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

გიორგი ხანიშვილი


მინისტრის პირველი მოადგილე



გეოსაინფორმაციო პაკეტი

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	წიაღთსარგებლობის ობიექტი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. ფანშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მინერალური წყლის მოპოვება (ჭაბ. №2, 3, 4).
2	წიაღთსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა
2.1	რეგიონი – მცხეთა-თიანეთი
2.2	მუნიციპალიტეტი – ყაზბეგი
2.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. ფანშეთი
2.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – დაბა სტეფანწმინდიდან დაახლოებით 4,კმ.
2.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან – აღემატება 10 კილომეტრს
2.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთი ფერდი, მდინარე თერგის ხეობა
2.7	წიაღთსარგებლობის ობიექტის კოორდინატები –

№	X	Y
ჭაბ. 2	469900,989	4721672,109
ჭაბ. 3	469588,919	4721062,95
ჭაბ. 4	469767,812	4721804,264



- 2.8 ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 1750-1800 მ.
- 2.9 კლიმატური პირობები – ყაზბეგის რაიონისთვის დამახასიათებელია მაღალმთიანი ცვალებადი-ტენიანი კლიმატი, სადაც იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5⁰C, ხოლო აგვისტოს +12÷14⁰C. აბსოლუტური მინიმუმი -34⁰C. ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი +33⁰C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 800-850 მმ-ის ფარგლებში, მათი უმეტესობა მოდის შემოდგომა-ზაფხულის პერიოდში წვიმის სახით.
- 3 **ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები**
- 3.1 მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან –
- 3.2 მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –
- 3.3 დამატებითი მონაცემები –
- სატყვეო რესურსები**
- 4.1 სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.




- 4.2 ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება.
- 4.3 სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –

წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია

- 5.1 წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) პიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის პიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ყელი-ქასბუკის ლაქური განფენის გრუნტის წყლების რაიონი.
- 5.2 წყალშემცველი პორიზონტი – ფანშეთის საბადოს გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ქვედა იურის ნაღველები, რომლებიც წარმოდგენილია თიხა-ფიქლებით – ქვიშაქვების შუაშრეებით. მათი სიმძლავრე აღწევს 1000 მეტრამდე.
ძირითადი ქანები გადაფარულია მძლავრი (350 მ-მდე) ალუვიურ-ტბიური კაჭარ-კენჭნარით, მეოთხეული ასაკის თიხის და თიხნარის შუაშრეებით.
მინერალური წყლების გამოვლინება, როგორც წყაროებში, ჭაბურღილებში დაკავშირებულია, როგორც ძირითად, ასევე მეოთხეული ასაკის ქანებთან.
ფანშეთის საბადოს ყველა ჭაბურღილის წყლები დაკავშირებულია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-ტბიურ ნაღველებთან.
- 5.3 ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი) – ჭაბურღილების სიღრმეებია: №2 – 196 მ, №3 – 200 მ, №4 – 190 მ.

მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება

ქიმიური შედგენილობა – ფანშეთის საბადოზე გახსნილია ცივი, ნახშირმჟავა-მინერალური წყალი, რომელიც პიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმის ტიპისაა. წყალი საშუალო კონცენტრაციის ნახშირმჟავიანია, pH=6.2-6.4. საერთო მინერალიზაცია 1.3-19 გ/ლ და შეიცავს ძირითად კომპონენტებს შემდეგი რაოდენობით: HCO₃-860-1185 მგ/ლ (70-80% ექვ), Cl-100-200მ გ/ლ (20-25% ექვ), (N+K)-195-320 მგ/ლ (45-55% ექვ), Ca-100-140 მგ/ლ (20-40% ექვ), და Mg-15-80 მგ/ლ (20-25% ექვ).
ძიკროელემენტებიდან წყალში აღმოჩენილია ტიპური კათიონები: Li, Rb, Cs, Si, რომელთა რაოდენობა უმნიშვნელოა, აღსანიშნავია მხოლოდ №2 ჭაბურღილის წყალში ცეზიუმის (0.33 მგ/ლ) შემცველობა.
რადიუმის და ურანის შემცველობა არ აღარბებს დასაშვებ ზღვარს.
ნახშირმჟავას შემადგენლობა გახსნილ გაზში მერყეობს 93-98%-მდე.
ჭაბურღილების ქიმიური შემადგენლობის ფორმულა 1981 წლის მონაცემებით შემდეგია:



- 6.1 სანიტარიული მდგომარეობა – ფანშეთის მინერალური წყლები ბაქტერიოლოგიურად სუფთაა, იგი უფერო და უსუნოა, არ შეიცავს მექანიკურ მინარეგებს, არ იცვლება დგომის დროს. ჭაბურღილების ბაქტერიოლოგიური ანალიზების შედეგია:
ჭაბ. №2 – კოლიტიური 333, ბაქტერიების რაოდენობა 2 (1 მლ წყალზე);
- 6.2

ჭაბ. №3 - კოლიტიტრი 333, ბაქტერიების რაოდენობა 3 (1 მლ წყალზე);
 ჭაბ. №4 კოლიტიტრი 333. ბაქტერიების რაოდენობა - 5 (1 მლ წყალზე).

63 ტემპერატურა - 10-13°C.
 წიაღისაარგებლობის ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) - ფანშეთის მინერალური წყლების საბადო შესწავლილია საძიებო სამუშაოების დონეზე.

64 წიაღისაარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი - მარაგების ტერიტორიული კომისიის მიერ 1983 წლის 29 დეკემბერს (ოქმი №735) დამტკიცებულ იქნა ფანშეთის ნახშირმჟავა მინერალური წყლების საექსპლუატაციო მარაგები B კატეგორიით 25 წლის ვადით შემდეგი პარამეტრებით:

წყლის ტიპი	ჭაბ. №	მარაგების რაოდენობა B კატ. მძღღ.	საერთო მინერალიზაცია	ტემპერატურა	CO ₂ -ის შემცველობა (გახსნილი) გრ/კლ
ნახშირმჟავა, დაბალმინერალიზებული	2	17	1.9	10	2.0
ქლორიდული, ჰიდროკარბონატული, კალციუმ-ნატრიუმის	3	864	1.5	12	1.3
	4	259	1.7	12	0.8
სულ:		1140			

ვინაიდან საექსპლუატაციო მარაგების ვადა გასულია, ამიტომ წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.

65 მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო) - მინერალური წყლის გამოყენება შესაძლებელია სამრეწველო სამოსხმისათვის.

66 სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის -

- ლიცენზიანტმა უნდა აღარმოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმიკატების შემადგენლობაზე;
- მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა;
- უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;
- ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.

67 დამატებითი მონაცემები - ფანშეთის ტიპის მინერალური წყლები გამოიყენება კუჭ-ნაწლავით დაავადებული ავადმყოფების სამკურნალოდ.

68 წიაღისაარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება

71 წიაღისაარგებლობის ობიექტის მორფოლოგია - მორფოლოგიურად ფანშეთის მინერალური წყალი (ჭაბ. №2, №3 და №4) მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა ჭაღის ტერასაზე. მიმდებარე ტერიტორიის აბსოლუტური ნიშნულები 1750-1800 მეტრის ფარგლებშია.

72 წიაღისაარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია - საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია

	მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას;
7.3	წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია – ჭაბურღილების განთავსების უბნებზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ შეინიშნება. ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება დაჭაობებული უბნები.
7.4	წიაღისარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები – საბადოს (ჭაბურღილების) ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.
7.5	გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – აღიკვეთოს წყლის უმიზნო დაღვრა და მოეწიოს სადრენაჟე არხები. დასკვნები და რეკომენდაციები – <ol style="list-style-type: none"> 1. საბადო (ჭაბურღილები) მდებარეობს ეაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. ფანშეთის მიმდებარედ, მდ. თურგის მარცხენა ჭაღის ტერასაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ხირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას; 3. ლიცენზიანტმა უნდა აღწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; 4. ჭაბურღილები საჭიროებს თავმორთულობის მოწესრიგებას და შემოღობვას; 5. ვინაიდან, ჭაბურღილების წყალი აჭაობებს მიმდებარე ტერიტორიას, ამიტომ საჭიროა მოეწიოს სადრენაჟე არხები; 6. ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთახმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან; 7. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქტი 3,4,5,6) გათვალისწინებით, ჭაბურღილებიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.
7.6	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
8.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – გ. ქიტოშვილი 2. ტ. გუგუნავა
8.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 1982 წ.
8.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 16267, ოქმი №735.

შემსრულებლები:

ს. შკალაიშვილი, ნ. ხონახიძე, ლ. ბახტაძე, ა. ქემოკლიძე

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
 დეპარტამენტის უფროსი



შერაბ ნალათაშვილი



საქართველო

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია

N 577



30/01/2020

577-01-2-202001301645

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფროსის პირველ მოადგილეს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი მიმდინარე წლის 23 იანვრის №22/449 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია სოფ. ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მინერალური წყლის ((ჭაბურღილი №2, №3, №4) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა, თუ მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და ამ პროექტის განხორციელება მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

დანართის სახით წარმოგიდგენთ დაბა სტეფანწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებით ბარათს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ალექსანდრე ზაგაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია




ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერს
 ბატონ ალექსანდრე ზაგაშვილს
 ამავე მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის
 ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის
 ზვიად ჩოფიკაშვილის

მოხსენებითი ბარათი


მოგახსენებთ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის №22/449 წერილი, რომელიც ეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მინერალური წყლის მოსაპოვებლად (ჭაბურღილები №2, №3, №4) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემას.

აღნიშნული საკითხის შესწავლის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მინერალური წყლის მოსაპოვებლად (ჭაბურღილები №2, №3, №4) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა, თუ კი მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და აღნიშნული პროექტი განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.




ზვიადი ჩოფიკაშვილი



მერის წარმომადგენელი (პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)
 დაბა სტეფანწმინდის ადმინისტრაციული ერთეული



● #	X	Y
ჭაბ. №2	469900.989	4721672.109
ჭაბ. №3	469588.919	4721062.950
ჭაბ. №4	469767.812	4721804.264



გეოსაინფორმაციო პაკეტი

განხილვა 5

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – ოდუნდის ტუფობრექციის საბადო გენეტური ტიპი – ვულკანოგენ-დანალექი
	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი – სამშენებლო
	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა
4.1	რეგიონი – სამცხე-ჯავახეთი
4.2	მუნიციპალიტეტი – ახალციხე
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. ანდრიაწმინდა
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – რ/ც ახალციხიდან სამხრეთით 11-12 კმ (პირი აპირი მანძი ით).
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / ზღვის სანაპირო ზოლიდან – აღემატება 5 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს.
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. ურაველი (მდ. მტკვრის აუზი)
	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები –

№	X	Y	26	333748.5910	4599544.4224
1	333598.5621	4600113.3341	27	333731.3664	4599543.8735
2	333709.6484	4600048.9290	28	333707.6514	4599549.1654
3	333766.8142	4599988.7676	29	333693.9216	4599558.4018
4	333766.0653	4599979.7809	30	333687.1815	4599577.3738
5	333772.5557	4599967.2993	31	333687.1815	4599590.6043
6	333782.2914	4599958.3125	32	333701.4106	4599623.5558
7	333805.5072	4599947.5783	33	333713.8425	4599648.5190
8	333820.4851	4599947.3287	34	333713.1433	4599661.4999
9	333876.1531	4599959.0614	35	333707.4017	4599669.4881
10	333895.3748	4599956.5651	38	333683.1874	4599676.2282
11	333920.0883	4599947.0791	37	333651.2345	4599678.7245
12	333939.8093	4599924.3626	38	333637.6047	4599681.9697
13	333961.5273	4599883.9221	39	333619.0320	4599689.9580
14	333972.7607	4599853.7166	40	333606.8015	4599690.9565
15	333977.2541	4599834.2453	41	333576.8441	4599691.9550
16	333977.0045	4599777.3292	42	333520.9265	4599685.7142
17	333972.0118	4599709.1796	43	333453.5258	4599681.7201
18	333954.5376	4599679.4734	44	333420.8240	4599691.2061
19	333947.2983	4599668.4896	45	333339.6936	4599767.0943
20	333925.0810	4599639.7819	46	333392.8652	4599851.4700
21	333881.3954	4599605.3326	47	333440.0457	4599933.3493
22	333842.4627	4599579.6702	48	333503.2026	4600018.7236
23	333802.5116	4599570.3641		S=209216 მ²	
24	333785.0373	4599560.8981		WGS 1984	
25	333769.3106	4599560.1639			



4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 1800-2000 მ.
4.9	კლიმატური პირობები – რაიონის კლიმატი კონტინენტურია, ზამთრის საშუალო თვიური ტემპერატურა შეადგენს -10-15 °C, ხოლო ზაფხულის – +15+25 °C.
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის დერაზიდან – ობიექტის მახლობლად ფიქსირდება კარიერამდე მისასვლელი გრუნტის გზა.
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან –
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –

54	დამატებითი მონაცემები –
6	სატყეო რესურსები
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია
7.1	ტექტონიკური დარაიონება – მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა, აჭარა-თრიალეთის ზონა, სამხრეთი ქვეზონა, ასპინძა-თბილისის ბლოკი.
7.2	<p>გეოლოგიური აგებულება – რაიონის ყველაზე ძველ ნალექებს წარმოადგენენ შუა ეოცენური ასაკის წარმონაქმნები, ისინი წარმოდგენილია ორი ფაციოსით: ქვედა ვულკანოგენური და ზედა მერგელიან-ქვიშაქვიანი. ვულკანოგენური ნალექები წარმოდგენილია ტუფობრექციებით და ანდეზიტური და ბაზალტური ლავების შიგაფორმაციული განფენებით. მერგელიან-ქვიშაქვიანი წარმონაქმნები წარმოდგენილია თხელ შრეებრივი, პელიტური ტუფების, ტუფიტების და კაჟიან-თიხიანი ქვიშაქვიების მორიგეობით.</p> <p>ზედა ეოცენური ასაკის ნალექები – ტრანსგრესიულადაა განლაგებული შუა ეოცენის ნალექებზე, მათი ამგები წარმონაქმნები წარმოდგენილია ტუფებით, ტუფობრექციებით, ქვიშაქვებით, თიხებითა და მერგელებით, საერთო სიმძლავრით 400-700 მ.</p> <p>სტრატиграფიულად ზემოთ ზედაეოცენურ ნალექებზე სხვადასხვა პორიზონტებზე განლაგებულია ზედა მიოცენ-ქვედა პლიოცენური ასაკის მძლავრი კონტინენტურ-ვულკანოგენური ეფუზიური წარმონაქმნები, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია “ქისათბის წყების” სახელწოდებით.</p> <p>წყების აგებულებაში მონაწილეობას დებულობენ ტუფობრექციები, ტუფები, თიხისა და მერგელების შუა შრეებიანი კონგლომერატები, დოლერიტების, ანდეზიტების და ანდეზიტო-დაციტების განფენები და მათი გამკვეთი გაბრო-დიაბაზის სხეულები. წყების ძირში განლაგებულია დოლერიტ-ბაზალტური განფენი. ზემოთ ჭრილში გამოიყოფა პროდუქტიული ფენა, რომელიც წარმოდგენილია ქანების რთული კომპლექსით: ტუფების, ტუფოქვიშაქვების, ტუფოკონგლომერატების, ტუფობრექციების მორიგეობით, რომელთა სიმძლავრეა 120-360 მ.</p> <p>მეოთხეული ნალექები წარმოდგენილია ანდეზიტო-ბაზალტების უხეშნატეხიანი მასალით, რომლებიც სუსტად არის შეკვმენტებული თიხური წარმონაქმნებით.</p> <p>ალუვიური ნალექები გვხვდება მდ. მტკვრისა და ურაველის ხეობებში. ეს იზოლირებული გამოსავლები წარმოადგენენ ტერასების ნარჩენებს, რომლებიც შემორჩენილია ერთ-ორი და დენუდაციის შემდეგ. დელუვიური ნალექები გვხვდება რაიონის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ოდუნდის ტუფობრექციის საბადოს საზღვრებში. ისინი უფრო მეტად განტაცებული არიან ფერდობების ძირში და ხასიათდებიან ისეთივე ლითოლოგიური შედგენილობით როგორც ძირითადი ქანები. დელუვიური ნალექების სიმძლავრეა 0,5-3,5 მ, იშვიათად აღწევს 10-15 მ-ს.</p>
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
8.1	<p>გეოლოგიური აგებულება – საბადო ძირითადად აგებულია ზედა მიოცენ – ქვედა პლიოცენური ასაკის კონტინენტურ-ვულკანოგენური ეფუზიური წარმონაქმნებით და წარმოდგენილია ტუფობრექციებით, იშვიათად გვხვდება ფორიანი ლავების ნატეხებიანი ტუფები.</p> <p>საკუთრივ ტუფობრექციები აგებულია მრავალგვარი, როგორც მარცვლოვნობის ისე ფერის და სიმტკიცის, ტუფური მასალით, სხვადასხვა სიდიდის ნატეხებით, ფორიანი წიღისეური ოლივინიანი ბაზალტებით, რომლებიც ძირითადად შეკვმენტებულია თიხური მასალით. შემადგენელი მასალის მრავალგვარობაზე თავისთავად დამოკიდებულია ტუფობრექციის მოცულობითი მასა, რომელიც ხშირად ცვალებადობს ოდუნდის საბადოს ფარგლებში.</p> <p>გვხვდება ტუფობრექციების მტკიცე და ნაკლებად მტკიცე – ალბათ უფრო მეტად თიხიანი სახესხვაობები. ყველა ისინი ზედაპირთან ახლოს გამოფიტულია, მსხვრევადაა და უხეშ ზედაპირიანია. სასარგებლო წყება დაყოფილია სამ სახესხვაობად:</p> <p>1) მსხვილნატეხოვანი, უხეშნატეხოვანი კარგად შეკვმენტებული ტუფობრექციები, რომელთა ძირითადი მასა მოყვითალო-ნაცრისფერია, ფორიანი ლავების ნატეხები 60</p>

	<p>მმ ზომისაა და მუქი ნაცრისფერია.</p> <p>2) საშუალონატეხოვანი, სუსტად შეცემენტებული ტუფობრეკჩიები, მოყვითალო ნაცრისფერი და მუქი ვარდისფერია, 20 მმ-მდე ზომით.</p> <p>3) ნახევრადფხვიერი, წვრილნატეხოვანი, ტუფები და ტუფობრეკჩიები, წაბლისფერ წითელი ძირითადი მასით, წიღისებური, რკინიანი, მუქი ნაცრისფერი, ფორიანი ლაგების ნატეხებით.</p> <p>საბადოს ძირითადი ნაწილი გადაფარულია თანამედროვე ნალექებით.</p>
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – შრეებრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გაერცვლება (მიმართებით და დაქანებით) – პროდუქტიული წყების გაერცვლება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – დამუშავების მინიმალურ სიმძლავრედ მიღებულია 3 მ, დამუშავების ქვედა პორიზონტი – მარაგების კონტურების ანგარიშის ზღვრებში – 1890 მ
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი –
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	<p>საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – დაძიებულია დეტალურად B და C₁ კატეგორიებში.</p> <p>საძიებო გამონამუშევრებს შორის მანძილი: C₁ კატეგორიისათვის – 100-200 მ; B კატეგორიისათვის – 50-100 მ</p>
9.2	საძიებო სამუშაოები – გაყვანია შურფები, თხრილები, ჭაბურღილები
9.3	დასინჯვა – არებულია მონოლითები, ბლოკ-მონოლითები, კერნული სინჯები
9.4	<p>ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – ოდუნდის ტუფობრეკჩიის საბადოზე პროდუქტიული წყება დაყოფილია სამ სახესხვაობად:</p> <p>1) მსხვილნატეხოვანი, უხეშნატეხოვანი კარგად შეცემენტებული ტუფობრეკჩიები, რომელთა ძირითადი მასა მოყვითალო-ნაცრისფერია, ფორიანი ლაგების ნატეხები 60 მმ ზომისაა და მუქი ნაცრისფერია.</p> <p>2) საშუალონატეხოვანი, სუსტად შეცემენტებული ტუფობრეკჩიები, მოყვითალო ნაცრისფერი და მუქი ვარდისფერია, 20 მმ-მდე ზომით.</p> <p>3) ნახევრადფხვიერი, წვრილნატეხოვანი, ტუფები და ტუფობრეკჩიები, წაბლისფერ წითელი ძირითადი მასით, წიღისებური, რკინიანი, მუქი ნაცრისფერი, ფორიანი ლაგების ნატეხებით.</p> <p>სამივე სახესხვაობა პეტროგრაფიულ-მინერალოგიური შემადგენლობით იდენტურია, განსხვავდებიან მხოლოდ კლასტური შედგენილობით და ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით.</p> <p>ქიმიური შემადგენლობა (%):</p> <p>SiO₂ – 45,0-47,7 %; CaO – 8,10-10,20 %; Al₂O₃ – 13,0-13,60 %; Na₂O+K₂O – 2,47-4,82 %; Fe₂O₃ – 9,01-10,10 %; TiO₂ – 0,70-0,84 %; MgO – 7,87-9,25 %; MnO – 0,20 %; SO₃ – 0,25-0,30 %;</p> <p>ფიზიკურ-მექანიკური თვისებები:</p> <p>– საშუალო სიმკვრივე 1291-1489 კგ/მ³; – ნამდვილი სიმკვრივე – 2,76-2,82 გ/სმ³; – წყალშთანთქმა – 16,76-26,15 %; – ფორიანობა – 42-52 %; – სიმტკიცის ზღვარი მშრალ მდგომარეობაში – 53-76 კგ/სმ²; – სიმტკიცის ზღვარი წყლით 48 სთ. გაჯერების შემდეგ – 41-63 კგ/სმ²; – შერბილების კოეფიციენტი – 0,64-0,96.</p>

	ოღუნდის საბადოს ტუფობრექნიები ვარგისია "50", "75" მარკის მსუბუქი ბეტონების დასამზადებლად.
9.5	ჰიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – ოღუნდის საბადოს ტუფობრექნიები მიეკუთვნებიან I კლასს და ამიტომ მათი გამოყენება მშენებლობისათვის, როგორც მსუბუქი შემავსებელი, შეიძლება შეუზღუდავად
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – საღორდე ნედლეული
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – დასძიებულია დეტალურად
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – სალიცენზიო ობიექტის ფართობია 209215 მ ² .
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – ფართობი – 209215 მ ² ; სასარგებლო წიაღისეულის მინიმალური ამოღების სისქე – 3 მ, დამუშავების ქვედა ჰორიზონტი, მარაგების ანგარიშის კონტურების საზღვრებში – 1890 მ.
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი – მარაგები გამოთვლილია ვერტიკალური პარალელური ჭრილების მეთოდით, შემდეგი ფორმულებით: 1. $V = \frac{S_1 + S_2}{2} \times L$; 2. $V = \frac{S_1 + S_2 + \sqrt{S_1 \cdot S_2}}{3} \times L$; 3. $V = \frac{S_1}{3} \times L$ სადაც: S ₁ და S ₂ არის ორ მეზობე ჭრილში პროდუქტიული წყების ფართი; L – ჭრილებს შორის მანძილი; V – ბლოკის მოცულობა
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C₁+C₂ და P) – ოღუნდის ტუფობრექნიის საბადოზე არსებული მარაგები ირიცხება საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე შემდეგი ოდენობით: B კატეგორია – 749 ათ. მ ³ ; C ₁ კატეგორია – 2649 ათ. მ ³ ; B+C ₁ კატეგორიები – 3398 ათ. მ ³ .
10.6	თანმდეგი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები – არ არის ფიქსირებული
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები –
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღისეულის მარაგების ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღისეულის მარაგების ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები – დამაკმაყოფილებელია.
11.2	წიაღისეულის მარაგების ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე გეოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი.
11.3	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ – გამომუშავების დაწყებამდე და დასრულების შემდგომ საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფიები.
12	წიაღისეულის მარაგების ობიექტის საინჟინერო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება

12.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (ტუფობრექჩია) მდებარეობს ახალციხის დეპრესიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, 2000-2100 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე, მდ. ურაველის მარცხენა ფერდზე. ობიექტის ტერიტორია ძირითადად გამოიყენება საზაფხულო საძოვრად.
12.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – სალიცენზიო ობიექტი ძირითადად აგებულია ზედა მიოცენ – ქვედა პლიოცენური ასაკის კონტინენტურ-ვულკანოგენური ეფუზიური წარმონაქმნებით და წარმოდგენილია ტუფობრექჩიებით, იშვიათად გვხვდება ფორიანი ლავების ნატეხებიანი ტუფები. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მი: თ ნ ბ ა II (საშ ა ო სირთულის) კატეგორიას.
12.3	წიაღით გებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქეიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი კარბი ააქშულა და სხ ა) – ო სინამი უ რი სი უ ა ი ა ს ა ბ ი რ ი ა
12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები – ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში დაცული უნდა იქნეს ქვეყანაში მოქმედი, სამთო საქმისათვის მიღებული წესები და ნორმები, რაც უ ა მ ი რ ბ ს ო სინამი უ რ კ არ თ ო ბ ბ ს.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწვობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები – <ol style="list-style-type: none"> 1. სალიცენზიო ობიექტი (ტუფობრექჩია) მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ანდრიაწმინდის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას; 3. მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით; 4. ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი, სამთო საქმისათვის მიღებული წესები და ნორმების დაცვით; 5. ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწვობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით; 6. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 7. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3-6) გათვალისწინებით სალიცენზიო ობიექტზე წიაღისეულის მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – დ. ჭუმბურიძე და სხვ.
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1990-1991 წ
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – №18520; ოქმის ნომერი №18522, №887

შემსრულებლები:

ს. მკალაგიშვილი, ნ. ჩომახიძე, დ. პირკულაოვი

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის ბართვის
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-169

24/02/2020

ქ. თბილისი

ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ოდუნდის“ ტუფობრექციის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, 3 398 000 მ³ „ოდუნდის“ ტუფობრექციის მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაგეგმილია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე. ერთ უბნად წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ახალციხის დეპრესიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 1800-2000 მეტრის სიმაღლეზე. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. ანდრიაწმინდა, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 5 კმ-ში მდებარეობს. ტერიტორიიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდი, ხოლო 1,5 კმ-ში მიედინება მდ. ურაველი.

წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი აგებულია ზედა მიოცენ-ქვედა პლიოცენური ასაკის კონტინენტურ-ვულკანური ეფუზიური წარმონაქმნებით. ტუფობრექციების აგებულება მრავალგვარია, რომლებიც ძირითადად შეცემენტებულია თიხური მასალით. წარმოდგენილი საბადოს სასარგებლო წყება დაყოფილია სამ სახესხვაობად, კერძოდ:

- მსხვილნატეხიანი, კარგად შეცემენტებული ტუფობრექციები, რომელთა ძირითადი მასა მოყვითალო-ნაცრისფერია, ფორიანი ლავების ნატეხები 60 მმ ზომისაა და წარმოდგენილია მუქი ნაცრისფერი სტრუქტურით.
- საშუალო ნატეხიანი, სუსტად შეცემენტებული ტუფობრექციები, 20 მმ ზომისაა და წარმოდგენილია მოყვითალო-ნაცრისფერი და მუქი ვარდისფერი სტრუქტურით.

- ნახევრად ფხვიერი, წვრილნატეხოვანი, ტუფები და ტუფობრექჩიები, წაბლისფერ-წითელი ძირითადი მასით, წიდისებური, რკინის შემცველი, ფორიანი ლავის სტრუქტურით.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. ობიექტის ფართობია: 209215 მ², სასარგებლო წიაღისეულის ამოღების მინიმალური ამოღების სისქე შეადგენს 3 მეტრს. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება მოხდება ღია კარიერული წესით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით სალიცენზიო ობიექტი დაძიებულია დეტალურად და მისი რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია B (749 ათ. მ³) და C₁ (2649 ათ. მ³) კატეგორიებით, რაც ჯამში შეადგენს 3 398 000 მ³ -ს. ობიექტიდან მოპოვებული წიაღისეული გამოყენებული იქნება სამშენებლო საქმიანობაში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია.

პროექტის განხორციელება დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ფართობზე (დაახლოებით 20,9 ჰა.) ახალი ტერიტორიის ათვისებასთან, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს მოხდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა და შესაბამისად მოსალოდნელია ნიადაგზე ზემოქმედება. განცხადების მიხედვით, მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანები დასაწყობდება და გამოყენებული იქნება ტერიტორიის რეკულტივაციისთვის. თუმცა, განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის და ფუჭი ქანების მოცულობების შესახებ.

ღია კარიერული წესით დამუშავებისას მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელებას ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების პროცესში, ასევე ნედლეულის ტრანსპორტირებისას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე. ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროები იქნება სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც მოხდება ობიექტის დამუშავება და შემდგომში ტრანსპორტირება. გარდა ამისა, მოპოვებით სამუშაოებს თან ახლავს ვიბრაცია, მათ შორის სხვადასხვა დანადგარების მუშაობისას.

განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით-წყლის, ნიადაგის მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებასთან, ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს

შესწავლას. დოკუმენტაციიდან არ ჩანს წიაღისეულის მოპოვების ხანგრძლივობა, ასევე, საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების წარმოქმნის საკითხი, რაც სალიცენზიო ფართობის გათვალისწინებით მოითხოვს დამატებით შესწავლას.

ობიექტის დამუშავებისას წარმოქმნილი ფუჭი ქანების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, მათი განთავსების მიზნით, საჭირო იქნება ახალი ტერიტორიების ათვისება და სანაყარობისთვის შესაბამისი პროექტის შემუშავება. ამასთან დიდი რაოდენობით მოსახსნელი ნიადაგის საფარის და ფუჭი ქანების დასაწყობება/რეკულტივაცია მოითხოვს რეკულტივაციის დეტალური პროექტის შემუშავებას 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილების შესაბამისად.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში წერილობითი შენიშვნები დააფიქსირა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“, რომელიც ეხება სკრინინგის ანგარიშის არასრულფასოვნად შესრულებას. შენიშვნის ძირითადი არსი მდგომარეობს, იმაში, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით უცნობი რჩება საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი, ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, 3 398 000 მ³ „ოდუნდის“ ტუფობრეჭჩის მოპოვება თავისი მასშტაბით და მოპოვების მეთოდით (ღია კარიერული წესით) გამოწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ოდუნდის“ ტუფობრეჭჩის მოპოვება **დაექვედგება** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და

ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
inf@nasp.gov.ge

N5/7618

05 / თებერვალი / 2020 წ.

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განსახილველად შემოსული თქვენი 30.01.2020წ. № 22/651 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია წერილებში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაიცეს ლიცენზია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი თქვენს მიერ ზემოხსენებულ კორესპონდენციაში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი პირობებით:

ლიცენზიის მფლობელის მიერ გაიცემა თანხმობა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

- ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას;

- სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის შესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.

ამ პირობების დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში ლიცენზია ჩაითვლება აუცილებელი თანხმობის გარეშე გაცემულად.

სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე



საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2150/01
26/02/2020

2150-01-2-202002261624



ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას
სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გიგზავენით, ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ოდუნდის“ ტუფოზრექციის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 24 თებერვლის №2-169 ბრძანებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბრძანების ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

დანართი: 11 (თერთმეტი) ფურცელი.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





საქართველო
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

N 535/07
04/02/2020

535-07-2-202002041221



წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველ მოადგილეს ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი ამა წლის 30 იანვრის № 22/642 მომართვის პასუხად, სადაც საუბარია თქვენს სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის, ანდრიაწმინდის ადმინისტრაციული ერთეულის ტუფობრეჭიის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციის მოწოდებაზე, გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღმდეგი მოხდეს თვენი ზემოაღნიშნული მომართვის დანართად წარმოდგენილ ტოპოგრაფიულ რუქაზე მონიშნულ მიწის ნაკვეთზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა.

პატივისცემით,

ზაზა მელიქიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია



პოზიცია | საინფორმაციო კითხვარი

- 1 წიაღითსარგებლობის ობიექტი - მაქართის მინერალური წყლის საბადო.
-
- წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა
-
- 2.1 რეგიონი - მცხეთა-მთიანეთი
-
- 2.2 მუნიციპალიტეტი - დუშეთი
-
- 2.3 უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. მაქართა
-
- 2.4 დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - ფასანაურიდან 13 კმ.
-
- 2.5 მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან - აღემატება 10 კილომეტრს
-
- 2.6 მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. შავი არაგვის აუზი
-
- 2.7 წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები -

№	X	Y
წყარო #18	480171	4693919
ჭაბ. #7	480150	4693935
ჭაბ. #13	480038	4694025
WGS 1984		

ჭაბ. №13



ჭაბ. №7



წყარო №18



- 2.8 ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 1190-1195 მ.
- 2.9 კლიმატური პირობები - მაქართის მინერალური წყლის საბადოს რაიონი ხასიათდება ზომიერი, ნესტიანი კლიმატით, ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა - 6±8°C, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -30°C. ივლისის საშუალო ტემპერატურა +10±16°C. აბსოლუტური მაქსიმალური +30°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 800-1200 მმ. თოვლის

	საფარი დეკს ოთხი თვე ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მოდის მის - იუნისში (100-230 მმ). მინიმალური დეკემბერ - იანვარში (20-70 მმ).
3	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები
3.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან –
3.2	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –
3.3	დამატებითი მონაცემები –
4	სატყეო რესურსები
4.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.
4.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება.
5	წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
5.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) პიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის პიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ნაპრაღური და ნაპრაღურ-კარსტული წყლების მესტია-თიანეთის წყალწვევიანი სისტემა.
5.2	წყალშემცველი პორიზონტი – ზედა იურული - ქვედა ცარცული კარბონატული ფლიშის წყალშემცველი პორიზონტის საერთო სიმძლავრე 1450 მ-მდეა და ლითოლოგიურად წარმოდგენილია მერგელებით, კირქვებით, მერგელოვანი ფიქლებით და იშვიათად კირქოვანი ქვიშაქვების დასტებით. ეს ნალექები ხასიათდება ინტენსიური დანაოჭებით.
5.3	ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი) – წყარო №18 დაუკაპტაჟებელია. ჭაბ. №7 – 30 მ. ჭაბ. №13 – 170.5 მ. წყარო დაუკაპტაჟებელია.
6	მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება
6.1	ქიმიური შედგენილობა – ქიმიური შედგენილობით წყლები სუსტად ნახშირორჟანგიანი პიდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი ("ნარზანის" ტიპი). საერთო მინერალიზაცია 0.9-1.7 გ/ლ.
6.2	სანიტარიული მდგომარეობა – სალიცენზიო ობიექტის სანიტარული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონა დგინდება "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის თავი II, მეხედი 7. პუნქტი 6-ის თანახმად და თითოეულ წყალპუნქტზე შეადგენს არანაკლებ 15 მეტრს (0.07 ჰა).
6.3	ტემპერატურა – 9-11°C.
6.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – ტერიტორია შესწავლილია მაქართის მინერალური წყლის საბადოს საექსპლუატაციო მარაგების შეფასების სტადიაზე.
6.5	წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი – სს "იბერია რეფრეშმენტსი"-ს დაკვეთით, 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით, დამტკიცებულ იქნა მაქართის მინერალური წყლის საბადოს საექსპლუატაციო მარაგები შემდეგ კატეგორიაში: წყარო 18 - C ₂ კატეგორია 95 მ ³ /დ.დ. ჭაბ. №7 - C ₂ კატეგორია 43 მ ³ /დ.დ. ჭაბურღილი №13 B კატეგორია 196 მ ³ /დ.დ. და C ₁ კატეგორია 45 მ ³ /დ.დ. სულ 379 მ ³ /დ.დ. (სს "იბერია რეფრეშმენტსი"-ის თანხმობის წერილის სააგენტოში რეგისტრაციის №10412, 14.11.2019)
6.6	მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო) – წყლის გამოყენება შესაძლებელია სასმელად და სამრეწველო ნაშოსხმისთვის.
6.7	სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის – ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; 2. უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;

3. ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი პიდროქიმიურ-რეჟიმიული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.


6.8	დამატებითი მონაცემები – მარაგების შესახებ ინფორმაციის გაცემა მოხდა სს “იბერია რეფრეშმენტსი“-ს თანხმობის საფუძველზე (სააგენტოში თანხმობის წერილის რეგისტრაციის №10412, 14.11.2019).
7	წიაღითსარგებლობის ობიექტის სანიტარო-გეოლოგიური პირობების ეიზუალური შეფასება
7.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – მაქართის მინერალური წყლის საბადოს წყალპუნქტები მდებარეობს მდ. შავი არაგვის მარცხენა (ჭაბ. №7 და წყარო №18) და მარჯვენა (ჭაბ. №13) ჭალისზედა ტერასაზე. ტერასული ზედაპირი მდინარის კალაპოტიდან მაღლდება 0.5-1.5 მ-ით, აქვს მოსწორებული ზედაპირი.
7.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის სანიტარო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – სანიტარო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საბადოს ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას.
7.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია – გეოდინამიკური სიტუაცია გართულებულია მდინარის ეროზიული პროცესების გამო.
7.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები – მდინარის ნაკადის მიმართულების შესვლამ შესაძლოა ჭაბურღილს ძირი გამოურყახოს.
7.5	გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – №7 ჭაბურღილის ნაპირი საჭიროებს გაბიონით გამაგრებას. ისე რომ მდინარის ნაკადი არ ეხებოდეს ჭაბურღილის ტერიტორიას.
7.6	დასკენები და რეკომენდაციები – <ol style="list-style-type: none"> 1. მაქართის მინერალური წყლის საბადოს წყალპუნქტები მდებარეობს მდ. შავი არაგვის მარცხენა (ჭაბ. №7 და წყარო №18) და მარჯვენა (№13) ჭალისზედა ტერასაზე; 2. სანიტარო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საბადოს ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას; 3. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი პიდროქიმიურ-რეჟიმიული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; 4. ჭაბურღილი №7 და წყარო №18 საჭიროებს პირველი სანიტარული დაცვის მკაცრობის რეჟიმის ზონის მოწყობას და შემოღობვას; 5. წყარო №18 საჭიროებს დაკაპტაჟებას და წყალდამცველი არხის მოწყობას. №13 ჭაბურღილი საჭიროებს ექსპლუატაციამდე ტექნიკურ გამართვას, ხოლო №7 ჭაბურღილი მიმდებარე ტერიტორია კი - მდინარის კალაპოტის გაბიონებით გამაგრებას; 6. ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან; 7. აღნიშნული რეკომენდაციების (3,4,5,6) გათვალისწინებით მაქართის საბადოს მინერალური წყლის შესწავლა-მოპოვება დასაშვებია.
8	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
8.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – ს. ნეფარიძე
8.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 2016 წ.
8.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 19558, ოქმი №56

შემსრულებლები:

ს. მკალაიეშვილი, ნ. ჩომახიძე, ლ. ბახტაძე, ა. ქემოკლიძე, ი. რობაქიძე

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
 დეპარტამენტის უფროსი

 მერაბ ჩალათაშვილი



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-133

14/02/2020

ქ. თბილისი

დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, მაქართას მინერალური წყლის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, მაქართას მინერალური წყლის (138335 მ³/წელიწადში) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

მაქართას მინერალური წყლის საბადოს სამი ჭაბურღილი ძდებარეობს მდ. შავი არაგვის მარცხენა და მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე, ზღვის დონიდან 1190-1195 მეტრზე. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთარებას. წიაღისეულის საბადოს ობიექტის (სამი ჭაბურღილი) GPS კოორდინატებია : N18- X-480171, Y-4693919; N7- X-480150, Y-4693935; N13- X-480038, Y-4694025. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 120 მეტრით, ხოლო მდ. შავი არაგვი 7 მეტრით .

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით, წიაღისეულის საბადოს ობიექტი მიეკუთვნება ნაპრალო-ნაპრალო-კარსტული წყლების მესტია თიანეთის წყალწნევიან სისტემას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობა ჯამში სამივე ჭაბურღილისთვის შეადგენს 138335 მ³-ს წელიწადში. აღსანიშნავია, რომ მაქართას მინერალური წყლები შესწავლილია საექსპლუატაციო მარაგების შეფასების სტადიაზე. წყლის რაოდენობა წარმოდგენილია C₂, C₁ და B კატეგორიებით. მოპოვებული წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყალშემცველი ჰორიზონტისთვის დამახასიათებელია სუსტად ნახშირორჟანგიანი ჰიდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი წყლები. მათი მინერალიზაცია მერყეობს 0.9-1.7 გ/ლ-მდე. წყლის ტემპერატურა 9-11 °C-ია.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას. წიაღისეულის საბადოს ობიექტის და

მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია გართულებულია ეროზიული პროცესების გამო და მდინარის ნაკადის მიმართულების შეცვლამ შესაძლოა ჭაბურღილს ძირი გამოურეცხოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, N7 სალიცენზიო ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, N18 ობიექტი საჭიროებს დაკაპტაჟებას და წყალდამცლელი არხის მოწყობას, ამასთან, ორივე ჭაბურღილისთვის გათვალისწინებულია პირველი სანიტარული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონის მოწყობა და შემოღობვა. N13 ჭაბურღილი საჭიროებს ექსპლუატაციამდე ტექნიკურ გამართვას.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ჭაბურღილის ექსპლუატაციისას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მინიმალური.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მაქრთას მინერალური წყლის მოპოვება არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებას და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქრთას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, მაქრთას მინერალური წყლის მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.


ზემოქმედების მინიმალური რისკის გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქრთას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, მაქრთას მინერალური წყლის მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1768/01
14/02/2020

1768-01-2-202002141341



სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

გიგზავნით, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, მაქართას მინერალური წყლის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №2-133 ბრძანებას.

ამასთან გაცნობებთ, რომ სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, N7 სალიცენზიო ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, რაც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის მე-9 პუნქტის 9.8 და 9.13 ქვეპუნქტების შესაბამისად, საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას. შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება სამინისტროში წარმოადგინოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე





დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY



საქართველო, 1800, ქ.დუშეთი, რუსთაველის ქ. № 27
 www.dusheti.gov.ge
 27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA

+995(346)221989

+995(346)221987

info@dusheti.gov.ge

№ 08/1908

04 / თებერვალი / 2020 წ.

სსიპ-წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველ მოადგილეს ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,


თქვენი 2020 წლის 17 იანვრის #22/353 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სოფ. მაქართის მიმდებარე ტერიტორიაზე, მინერალური წყლის მოპოვების ლიცენზიის გაცემის ნებართვას მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში არ გააჩნიათ უარყოფითი პოზიცია ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ ვართ წინააღმდეგი სოფ. მაქართის მიმდებარე ტერიტორიაზე მინერალური წყლის ლიცენზიის გაცემის მიზნით მოხდეს აუქციონის გამოცხადება, წერილში მითითებული კოორდინატების მიხედვით. დანართის სახით თან ვურთავთ მერის წარმომადგენლის მოხსენებით ბარათს და გასაუბრების დროს შედგენილ აქტს სადაც დაფიქსირებულია მოსახლეობის პოზიცია.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/ მტკიცებულია ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																																																									
<p>10.3</p>	<p>მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები დიაციომიციის ვენის გნლაკებ დაქვემდებარებელია ხინკდინის, ხაერთო კონფოგურაციის, ხაოქის ღერი მიმართულია ხამრეთი-დახაველითიდან ხრდილო ადმოსაველითი ხრდილო ხრდილო-დახაველი ფრთა ექვს ხამხრეთი – ხამხრეთი-ადმოსაველითი, 20-60⁰ კუთხით, ხამხრეთ – ხამხრეთი-ადმოსაველი ფრთა – ხრდილი ხრდილო-დახაველითი, 30-70⁰-ით, ანის ხამხრეთი იცვლება 1,8 მ-დან 13,81 მ-დე.</p>
<p>10.4</p>	<p>მარაგების გამოთვლის მეთოდი – მარაგები დათვლილია გეოლოგიური ბლოკების მეთოდით.</p>
<p>10.5</p>	<p>წიაღისეულის რაოდენობრივი მანვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C₁+C₂ და P) – ქისათბილ საბადოზე ხაქრთველოს სასარებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე ირიცხება დიაციომიციის მარაგები შემდეგი ოდენობით:</p> <p>A კატეგორია – 456 ათ. ტ; B კატეგორია – 2960 ათ. ტ; C₁ კატეგორია – 4566 ათ. ტ; A+B+C₁ კატეგორიები – 7982 ათ. ტ; C₂ კატეგორია – 2398 ათ. ტ.</p> <p style="text-align: right; font-size: 2em; font-weight: bold;">10380 მტ</p>
<p>10.6</p>	<p>თანმდევი სასარებლო წიაღისეული მისი კომპონენტების მარაგები დაფიქსირებულია.</p>
<p>10.7</p>	<p>მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები – ხაბადოს ფარგლებში მარაგების გაზრდის შესაძლებლობა არსებობს ხაბადოს დახველი ხაწილის შესწავლის, აგრეთვე C₂ კატეგორიების შესწავლის და მათი მხედ კატეგორიებში გადაყვანის ხარაზე.</p>
<p>10.8</p>	<p>ღამატებითი მონაცემები –</p>
<p>11 წიაღითსარებლობის ობიექტის დამუშავების პირობები</p>	
<p>11.1</p>	<p>წიაღითსარებლობის ობიექტის დამუშავების პიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები – საბადოს პიდროგეოლოგიური პირობები ხელხაერულია, ამგები ქანების ღითოლოგიური შემადგენლობა და ხაპრადოქებება განაირობებს მათ ხაკმად დიდ წიდეკაციონიანობას. პრიდექციული წიების ქვეშ ხადა უოქსერო წიაღისეულის ქანების</p>

	ურაგული) ხეობა, იქმნება ხელსაყრელი პირობები მოწიქვეშა წყლების დრენირებისთვის. ასევე ხელსაყრელია საინჟინრო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები.
112	წიაღთსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი - ღია (კარიერული) წესით, მოწიქვეშა სამთო გამოთქმევებით. ობიექტზე გეოლოგიური წინასწარობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი.
113	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ - ობიექტის ტერიტორიაზე ნატარებელია ტოპოგრაფიული აგეგმა 1:2000 მასშტაბში, გათმუშავების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფიები.
12	წიაღთსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღთსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია - სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ახალიცი-ახალქალაქის ვულკანური პლატოს მთა-გორიან ტერიტორიაზე და მოიცავს მდ. ქისათის მარჯვენა და მარცხენა ფერდობებს, სადაც ფიქსირდება ტექნოგენური სახეცვლილებები დრამების სახით, ასევე შახტური გამოთქმევები, ტერიტორიის მცირე ნაწილი დაფარულია ტყის მასივით.
12.2	წიაღთსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია - ობიექტის ტერიტორია აგებულია კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი მადალი ხიმტიცისა და მდგრადობის ქანებით - მესამეული ახალის ვულკანოგენური ნალექებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.
12.3	წიაღთსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) - ობიექტის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება.
12.4	წიაღთსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიური გართულებები - ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში დაცული უნდა იქნას სამთო საქმისადმი მიღებული წესები და ნორმები, რაც საგრძნობლად შეამცირებს გეოდინამიკურ გართულებებს.
12.5	გეოდინამიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა - არ საჭიროებს.
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები - 1. წიაღთსარგებლობის ობიექტი (დიატომიტი) მდებარეობს ახალიციის მუნიციპალიტეტის სოფ. წყორის მიმდებარედ, და მოიცავს მდ. ქისათის მარჯვენა და მარცხენა ფერდობებს; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას; 3. ობიექტის დამუშავების დროს მოსწილი ფუჭი ქანი და ნიადაგის ფენა არ უნდა მოხდეს მდინარე ქისათის კალაპოტში, რათა არ მოხდეს მისი შეუკუბება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნეკატური მოვლენები; 4. ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ღია (კარიერული) წესით და მოწიქვეშა სამთო გამოთქმევებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით; 5. მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წყლით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით; 6. ობიექტიდან 60 მ-ში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, დამუშავებამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის ხელისუფლებას; 7. მთითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3-6) გათვალისწინებით ობიექტის დამუშავება არ გამოიწვევს არსებულ გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას და საშიში გეოლოგიური პროცესების წარმოქმნას.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) - 1. ჭიაშვილი, სამარჯვე, ბელახუი; 2. ფერაძე, შენგელაია, ხაქშიძე; 3. ფერაძე, შენგელაია; 4. მსკ ოქმი №4060
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი - 1. 1963 წ.; 2. 1984 წ.; 3. 1989 წ.; 4. 1963 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № - 1. №11175; 2. №16853; 3. №17996; 4. №11178

შემსრულებლები:

ს. მკადავიშვილი, ნ. ხიმშიაძე, ე. ბაქანიძე, ი. რობაქიძე

შუთანხმებულია,
სასარგებლო წიაღისეულის მართვის
ოპერატიული სამსახურის

82

საქართველო



გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 175/01
08/01/2020

175-01-2-202001081104



სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 24 დეკემბრის №22/9609 წერილი, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძას მიმდებარე ტერიტორიაზე 10 380 000 ტონა დიატომიტის მოპოვების პროექტს.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 26-ე პუნქტის შესაბამისად, წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ფართობი შეადგენს 1688472 მ²-ს, შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე





საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო

გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/409



31/01/2020

409-11-2-202001311046

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველ
მოადგილეს ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის N22/457 წერილთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძას მიმდებარე ტერიტორიაზე (1688472 კვ.მ), დიატომიტის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, თქვენს მიერ წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის N11.2 პუნქტში, წიაღისეულის მოპოვების ობიექტის დამუშავების მეთოდად მითითებულია ღია (კარიერული) წესი. აღნიშნული გარემოების და ფართობზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად, სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, მ/წლის 10 იანვრის N11/17 წერილით დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია.

ვინაიდან, თქვენს მიერ (ზემოაღნიშნული წერილით) წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პერსპექტიულ სალიცენზიო ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდება მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით, ასეთ შემთხვევაში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო არ იქნება წინააღმდეგი მის მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე (366606 კვ.მ) გაიცეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

პატივისცემით,



84

ჩილ ნიკოლეშვილი



აგენტოს უკვლავსი



სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან გადმოგზავნილი თქვენი წერილი (N22/9595 24.12.2019), რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძას მიმდებარე ტერიტორიაზე, დიატომიტის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე **კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების**, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროს (აღნიშნული უფლებამოსილება დელეგირებულია სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოზე) დადებითი დასკვნის საფუძველზე. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სამინისტროს (სააგენტოს) დასკვნის საფუძველია შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი.

აქვე გაცნობებთ, რომ სალიცენზიო ობიექტი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - "ბაიების საეკლესიო კომპლექსი, 1. ნახევრად გამოქვაბული ეკლესია, 2. ცალკე მდგომი ეკლესია, 3. გვირაბი" - ვიზუალური დაცვის არეალში, სადაც "აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას" (საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", მუხლი 36, პ.6).

ასევე, სალიცენზიო ტერიტორია მდებარეობს "ლოდობანას" არქეოლოგიური ობიექტის (არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსი - ნასოფლარი, ნაეკლესიარი, სამაროვანი, გვირაბი და ა.შ. იხ. კულტურული მემკვიდრეობის გის პორტალი <http://memkvidreoba.gov.ge/>, სარეგისტრაციო ნომერი 20016) უშუალო სიახლოვეს (მანძილი 50-60 მ.) სადაც წიაღისეულის მოპოვებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას აღნიშნულ არქეოლოგიურ ობიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე სალიცენზიო ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს შესაბამისი საკვლევადიებო სამუშაოები და დასკვნის მოსამზადებლად, სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (მუხლი 14, პ.3.4) დოკუმენტაცია ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის შესახებ.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე



საქართველო
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

N 5/07
03/01/2020

5-07-2-202001030930



წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველ მოადგილეს ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი ამა წლის 24 დეკემბრის № 22/9594 მომართვის პასუხად, სადაც საუბარია თქვენს სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყორძის მიმდებარე ტერიტორიაზე, დიატომიტის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციის მოწოდებაზე, გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღმდეგი მოხდეს თვენი ზემოაღნიშნული მომართვის დანართად წარმოდგენილ ტოპოგრაფიულ რუკაზე მონიშნულ მიწის ნაკვეთზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა, იმ შემთხვევაში თუ არ შეიზღუდება სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე მოქცეული გრუნტის გზის ადგილობრივების მიერ გამოყენება, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ დაიტანოთ სერვიტუტი გზის აღნიშნულ მონაკვეთზე, ან ლიცენზიანტმა ადგილობრივებს შესთავაზოს ალტერნატიული გზა.

პატივისცემით,

ზაზა მელიქიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია





KA021710154047320

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. 49ა
ტელ: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/6012

29 / იანვარი / 2020 წ.

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განსახილველად შემოსული თქვენი 24.12.2019წ. № 22/9608 და 25.12.2019წ. № 22/9663 წერილების პასუხად, გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია წერილებში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაიცეს ლიცენზია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი თქვენს მიერ ზემოხსენებულ კორესპონდენციაში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი პირობებით:

- ლიცენზიის მფლობელის მიერ გაიცემა თანხმობა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

- ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას;

- სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.

ამ პირობების დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში ლიცენზია ჩაითვლება აუცილებელი თანხმობის გარეშე გაცემულად.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი - ბოლბეს გამარმარილოებულ კირქვის საბადო
2	გენეტიკური ტიპი - დანალექი
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - სამშენებლო
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა
4.1	რეგიონი - კახეთი
4.2	მუნიციპალიტეტი - სიღნაღი
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. ქვემო ბოლბე, სოფ. ქვემო მადარო
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - რ/ც სიღნაღიდან სამხრეთ-დასავლეთით - 36-38 კმ
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან - 2.5 კმ-ში / აღემატება 20 კმ-ს
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. იორის აუზი
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები -

X-საბანი		Y-საბანი	
N	X	Y	
1	4680806,61440	4683990,38280	46
2	4680838,87880	4683983,10820	47
3	4680897,01289	4683820,44788	48
4	4680917,73860	4683827,41120	49
5	4680490,06970	4683841,05140	50
6	4680480,98370	4683859,61080	51
7	4680423,88840	4683873,83920	52
8	4680417,72880	4683903,38680	53
9	4680284,67170	4683828,37840	54
10	4680242,60430	4683861,78780	55
11	4680189,70870	4683899,13800	56
12	4680143,62310	4684003,76330	57
13	4680117,02070	4684016,60740	58
14	4680092,27610	4684028,02430	59
15	4680033,80480	4684058,81210	60
16	4680000,92020	4684094,07460	61
17	4680036,78960	4684131,18280	62
18	4680072,03390	4684183,77710	63
19	4680008,46420	4684237,64960	64
20	4680048,10860	4684297,23330	65
21	4680019,23620	4684310,69800	66
22	4680000,08840	4684336,98210	67
23	4680077,78740	4684362,86380	68
24	4680048,22920	4684393,87240	69
25	4680028,82170	4684407,10860	70
26	4680008,02630	4684423,80880	71
27	4680008,70540	4684447,31710	72
28	4680019,72080	4684467,13160	73
29	4680039,21240	4684491,24040	74
30	4680010,13830	4684514,13000	75
31	4680076,11120	4684539,38480	76
32	4680038,28110	4684561,14660	77
33	4680008,06100	4684676,37820	78
34	4680008,31660	4684688,89210	79
35	4680008,47870	4684690,73940	80
36	4680018,88390	4684624,24770	81
37	4680008,86700	4684644,42260	82
38	4680008,63660	4684700,98230	83
39	4680071,10700	4684797,84080	84
40	4680008,87180	4684774,84780	85
41	4680038,83970	4684783,83920	86
42	4680008,63880	4684738,83880	87
43	4680073,91720	4684713,73090	88
44	4680008,82930	4684690,93840	89
45	4680078,14770	4684678,13400	90

"-საბანი		Y-საბანი	
N	X	Y	
1	550778	16710	4683799
2	550798	14180	4683804
3	550821	64990	4683797
4	551	70	4683778
5	5508	390	58
6	550858	91230	4683742
7	550874	0	4683
8	550893	41	0
9	550918	82070	4683706
10	5509	8940	4683697
11	550974	46360	4683680
12	551012	19060	4683673
13	551040	64790	4683668
14	551078	29170	4683636
15	551099	41860	4683622
16	551114	88460	4683607
17	551160	76680	4683678
18	551168	70610	4683666
19	551194	88890	4683643
20	551210	16490	4683632
21	2	410	4683610
22	551	10	4683487
23	551263	36780	4683468
24	551181	28740	4
25	551107	39884	4683662
26	551112	73688	4683677
27	55086	63400	4683660
28	550911	97110	4683672
29	550877	32740	4683702
30	5508	763	0
31	550814	84490	4683737
32	550789	48070	4683768
33	550788	690	4683768
34	550739	65290	4683776
35	5507	14170	4683
36			81370



4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 600-650 მ.
4.9	კლიმატური პირობები - კონტინენტური.
ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები	
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან -
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან -

5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –
5.4	დამატებითი მონაცემები –
6	სატყეო რესურსები
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია
7.1	ტექტონიკური დარაიონება – ამიერკავკასიის მიათაშუა არე, აღმოსავლეთ დაძირვის მოლასური ზონა, გარე კახეთის მოლასური ქვეზონა
7.2	<p>გეოლოგიური აგებულება – რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ნეოგენური და მეოთხეული ასაკის ნალექები.</p> <p>მიოცენური სისტემის ქვედა და შუა სარმატული ნალექები მოიცავს მდ. იორის ხეობის დიდ ნაწილს. სამხრეთ კახეთში ქვედა სარმატული ნალექები თანხმობითაა განლაგებული კონკური პორიზონტის ქვიშაქვა-თიხოვან წარმონაქმნებზე, მხოლოდ ციფ-გომბორის ქედის ზოგიერთ უბანზე და დედოფლისწყაროში ქვედა სარმატი არ აღინიშნება და შუა სარმატული ნალექები ტრანსგრესიულადაა განლაგებული ოლიგოცენურ ნალექებზე.</p> <p>ქვედა სარმატი რაიონში ფართოდაა გავრცელებული. ლითოლოგიურად ისინი ძირითადად წარმოდგენილია თიხების, ქვიშაქვების და მერგელების მორიგეობით.</p> <p>შუა სარმატის ნალექები ახამბურა-ტაურა-ტაფის და სათბეუდაბნოს ზოლში წარმოდგენილია სანაპირო თიხოვან-ქვიშაქვიანი ნალექებით, რომლებიც ხასიათდებიან ოლითური კირქვების შუაშრეებით.</p> <p>შუა სარმატული ნალექები რეგიონში ზღვიურია, ზედა კი კონტინენტური.</p> <p>შუა და ზედა სარმატის წარმონაქმნები ფართოდ არიან გავრცელებულნი მდ. იორის ხეობაში. უდაბნოს სინკლინის ორივე ფრთაზე, ბაიდას, ხათმას, ალაღჯოვის უბნებზე. ისინი წარმოდგენილია კონგლომერატებით, ჭრელი ფერის თიხებით და ქვიშაქვებით. ხშირად მათში გხვდება მურა ნახშირის, ნახშიროვანი ფიქლების მძლავრი შრეები. წყების საერთო სიმძლავრე შეადგენს 1500 მ-ს.</p> <p>პლიოცენური, მეოტურ-პონტური (შირაქის წყება) რაიონის ფარგლებში, მდ. იორის დასავლეთით. შირაქის წყებაში მისთვის დამახასიათებელი კონგლომერატები არ დაიკვირვება, აქ ანტიკლინების: მწარე-ხევის, ტაურა ტაფის უდაბნოს ზონაში შირაქის წყება ლითოლოგიურად წარმოდგენილია თიხიან-ქვიშაქვიანი შრეების მორიგეობით. უკანასკნელნი უპირატესი გავრცელებით სარგებლობენ. ქვიშაქვები საშუალო და უხეშმარცვლოვანია. თიხები ძირითადად, თაბაშირშემცველია მთელითალო-ნაცრისფერი და ნაცრისფერი, იშვიათად მოწითალო.</p> <p>შირაქის წყება ქველგან ტრანსგრესიულად გადაფარულია ადნაგილის შრეებით, რის გამოც სხვადასხვა უბნებზე მისი სიმძლავრე ერთმანეთსგან განსხვავებულია: უდაბნოს სინკლინში – 416 მეტრია, დასავლეთით იხრდება 500 მ-მდე, ხოლო სათბეს ანტიკლინის ნრდილო ფრთაზე და აქედებული ალდის ხეეში, მნიშვნელოვნად მატულობს და შეადგენს 1567 მ-ს.</p> <p>მეოთხეული წარმონაქმნები გავრცელებულნი არიან მდ. იორის დეპრესიის ცალკეულ უბნებზე ფრაგმენტების სახით. ტარიბანას სტეპს და იორის დეპრესიის სხვა ადგილებში ქვედა და შუა მეოთხეული ნალექები შეესაბამებიან მდ. იორის IV და V ტერასებს. გენეტიკურად ისინი ალუვიურ-დელუვიური წარმოშობისაა და ლითოლოგიურად წარმოდგენილნი არიან კაჭარ-კენჭნარით და ქვიშაქვებით.</p> <p>ზედა მეოთხეულის ნალექები გავრცელებულია მდ. იორის I, II, და III ტერასებზე, დაახლოებით იგივე უბნებზე, სადაც ქვედა და შუა მეოთხეულის წარმონაქმნები. თანამედროვე (მოლოცენი) ასაკის ნალექები წარმოდგენილია მდ. იორის ალუვიონით და მისი შენაკადების გამოტანის კონუსებით, შესაბამისად მათი გენეზისი ალუვიურ-პროალუვიური და ლითოლოგიურად წარმოსაგნილნი არიან კენჭნარებით და ქვიშებით, იშვიათად თიხებით</p>
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
8.1	<p>გეოლოგიური აგებულება – საბადო აგებულია ქვედა და შუა სარმატის ყავისფერი თიხების შუაშრეებიანი მუქი ნაცრისფერი, დანაპრალიანებული, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვებით შესწავლილი უბნის ფარგლებში შრეები ეკვებიან 40-60⁰ –იანი კუთხით. ვარდნის მიმართულება</p> <p>ჩრდილო-აღმოსავლურია, აზიმუტი 35-55⁰.</p> <p>კირქვების გამოსავალს ზედაპირზე წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულების ზოლი საშუალო სიგანით 2.5 მ. შრეთა ვარდნა ჩრდილო-აღმოსავლურია. კირქვების ზედაპირზე გამოსავალი გაშიშვლებულია, დანარჩენი ტერიტორია კი დაფარულია საშუალოდ – 0,3 მ-ის სიმძლავრის ნიადაგით. ძლიერ გამოფიტული ქანების შრე კირქვებისათვის საშუალოდ შეადგენს – 0,4 მ-ს ხოლო თიხების შუაშრეებიანი ქვიშაქვებისათვის – 0,65 მ-ს. საღ ქანებში ნაპრალიანობა საშუალო ინტენსივობისაა, ღია ნაპრალები</p>

დაფიქსირებული არ არის.

პეტროგრაფიულად კირქვები (ქანი) პრაქტიკულად საღია, მეტამორფიზმის ნიშნები მასში არ შეიმჩნევა. იგი შედგება თეთრი ფერის წერილმარცვლოვანი მასალისაგან და შეიცავს კარგად შემონახული სხვადასხვა ზღვიური ცხოველების ნიჟარებს 50 %-მდე. ნიჟარების სიდიდე იცვლება

0,2-5,0 მმ-ის ფარგლებში. ქანში კარბონატის გარდა არ არის არცერთი პირველადი ან მეორადი მინერალი.

ქანი განისაზღვრება როგორც ღია მოყვითალო-თეთრი ფერის ორგანოგენული კირქვა.

8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – შრებრივი სხეული
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – პროდუქტული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – პროდუქტიული შრის სიმძლავრე მერყეობს 1 მ-დან 5 მ-მდე
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი – მიმართება ჩრდილო-აღმოსავლეთი – 40-60°, აზიმუტი 35-55°.
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – დეტალური ძიება მიმდინარეობდა შემდეგი საძიებო ქსელით: A კატეგორიისთვის – 100-100 მ; B კატეგორიისთვის – 200-200 მ; C ₁ კატეგორიისთვის – 300-300 მ.
9.2	საძიებო სამუშაოები – თხრილები და გაბურღილები
9.3	დასინჯვა – აღებულ იქნა რიგითი და ტექნოლოგიური სინჯები
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – პეტროგრაფიულად კირქვები პრაქტიკულად საღია, მეტამორფიზმის ნიშნები მასში არ შეიმჩნევა. იგი შედგება თეთრი ფერის წერილმარცვლოვანი მასალისაგან და შეიცავს კარგად შემონახული სხვადასხვა ზღვიური ცხოველების ნიჟარებს 50 %-მდე. ნიჟარების სიდიდე იცვლება 0,2-5,0 მმ-ის ფარგლებში. ქანში კარბონატის გარდა არ არის არცერთი პირველადი ან მეორადი მინერალი. ქანი განისაზღვრება როგორც ღია მოყვითალო-თეთრი ფერის ორგანოგენული კირქვა.
	ქიმიური შედგენილობა – SiO ₂ – 0,2 %; MgO – 0,53 %; Al ₂ O ₃ – 0,19 %; CaO – 53,91 %; Fe ₂ O ₃ – 0,58 %; . a ₂ O – 0,30 %; TiO ₂ – 0,01 %; K ₂ O – 0,12 % FeO ₂ – 0,12 % P ₂ O ₅ – 0,01 %; MnO – 0,10 %; H ₂ O – 0,24 %.
	ფიზიკო-მექანიკური თვისებები – – მოცულობითი წონა – 2479-2627 კგ/მ ³ ; – ფორიანობა – 5,77-9,55 %; – წყალშთანქობა – 0,43-0,82 %; – სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე – 675-801x10 ⁵ პა; – დარბილების კოეფიციენტი – 0,89-0,95; – ყინვაგამძლეობის კოეფიციენტი – 0,84-0,91. ბლოკების გამოსავალი შეადგენს – 20,82 %, ხოლო 15-30 მმ. სისქის ფილების გამოსავალი საშუალოდ – 10 მ ² .
9.5	პიგენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – საბადოსე არსებული გამომართილოებულო ორგანოგენული კირქვები აკმაყოფილებს მოთხოვნებს როგორც მსასპირკეთებელი ფილების წარმოებაში, ასევე რეკომენდირებულია შიდა საშუქაოებისათვის.
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – დეტალური ძიება
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – I უბანი 143150 მ ² , II უბანი 20810 მ ²
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – პროდუქტიული შრის სიმძლავრე მერყეობს 1 მ-დან 5 მ-მდე

10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი - საბადოზე მარაგები დათვლილია ვერტიკალური ჭრილების მეთოდით.
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) - ბოღბეს გამარმარილოებული კირქვის საბადოს ორივე არსებული მარაგები ირიცხება საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე შემდეგი ოდენობით: A კატეგორია - 72 ათ. მ ³ ; B კატეგორია - 92 ათ. მ ³ ; C ₁ კატეგორია - 96.4 ათ. მ ³ ; A+B+C ₁ კატეგორიები - 260.4 ათ. მ ³ .
10.6	თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები - არ არის დაფიქსირებული.
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები -
10.8	დამატებითი მონაცემები -
11	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები - დამაკმაყოფილებელია.
11.2	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი - ღია (კარიერული) წესით ობიექტზე ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი.
11.3	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ - საბადოზე ჩატარებულია 1:2000 მასშტაბის ტოპოგრაფიული აგებმა, გამომუშავების მომენტი სათვის საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფია
12	წიაღისარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღისარგებლობის ობიექტის მორფოლოგია - სალიცენზიო ობიექტი გამარმარილოებული კირქვა წარმოდგენილია ორ უბნად და მდებარეობს ხიდნალის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოღბეს მიმდებარე ტერიტორიაზე. ტერიტორია მიეკუთვნება კახეთის დაბალმთიან ზონას, ობიექტის ფერდობი სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციისაა - 10-12 ⁰ -ის დახრილობით.
12.2	წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია - ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ქვედა და შუა სარმატის ნაცრისფერი წერილმარცვლოვანი ქვიშაქვები კაფისფერი თიხების შუაშრეებით და ორგანოგენული კირქვების იშვიათი შუაშრეებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას.
12.3	წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური ვითარება (ქვიშა-ხრეების შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) - სალიცენზიო ობიექტზე გეოდინამიკური ვითარება სტაბილურია.
12.4	წიაღისარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები - მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა - არ საჭიროებს.
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები - 1. სალიცენზიო ობიექტი (გამარმარილოებული კირქვა) წარმოდგენილია ორ უბნად და მდებარეობს ხიდნალის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოღბეს მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას; 3. ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი პიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმების და წესების დაცვით; 4. ობიექტის დამუშავების დროს მოიხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწივდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით; 5. მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღის არგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით; 6. ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 7. მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით (პუნქტი 3-6) ობიექტის ექსპლუატაცია არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური პირობების გაუარესებას.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მოზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) - 1. რ. გვარჯალაძე; 2. მარაგების სახელმწიფო კომისიის ოქმი №5500; 3. საბადოს პასპორტი B - 39

132	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი - 1. 1966 წ.; 2. 11. 10. 1968 წ.
133	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № - 1. №12859; 2. №12261

შემსრულებლები:

ს. მკადაგიშვილი, ნ. ჩომახიძე, ს. გურუშვიძე, ნ. გუგავა

შეთანხმებულია,
სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩაღლათაშვილი



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-114

06/02/2020

ქ. თბილისი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული კირქვა) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე 260400 მ³ სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული კირქვა) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ორ უბნად წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 600-650 მეტის სიმაღლეზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე. ტერიტორია მიეკუთვნება კახეთის დაბალმთიან ზონას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. კაზლარი (საგარეჯოს რაიონი), რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 18 კმ-ში მდებარეობს. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 6 კმ-ში მდებარეობს ივრის ალკვეთილი, ხოლო, 2 კმ-ში საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, ტერიტორია აგებულია ქვედა და შუა სარმატის ნაცრისფერი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვებით, ყავისფერი თიხების შუაშრეებით და ორგანოგენული კირქვების იშვიათი შუაშრეებით.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, წიაღისსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტის ფართობია: I უბანი 143150 მ² და II უბანი 20810 მ², ჯამში 163960 მ². დამუშავების ჰორიზონტად მიღებულია 600 მ. წიაღისსარგებლობის ობიექტის დამუშავება მოხდება ღია კარიერული წესით.

წიაღისეულის საბადო დაძიებულია დეტალურად და მისი რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია A (72 ათ. მ³); B (92 ათ. მ³); C (96.4 ათ. მ³) კატეგორიებით და ჯამში შეადგენს 260400 მ³ -ს. ობიექტიდან მოპოვებული გამარმარილოებული კირქვა გამოიყენება როგორც

მოსაპირკეთებელი ფილების წარმოებაში, ასევე რეკომენდირებულია შიდა სამუშაოებისათვის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები. აღსანიშნავია, რომ ობიექტი ემთხვევა ივრის ზეგანის ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიას (IBA-ივრის ზეგანი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კირქვების ზედაპირზე გამოსავალი გაშიშვლებულია დანარჩენი ტერიტორია კი დაფარულია საშუალო სიმძლავრის ნიადაგით. ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანები დასაწყობდება და გამოყენებული იქნება ტერიტორიის რეკულტივაციისთვის.

სკრინინგის განცხადებაში ასახული რეკომენდაციების თანახმად, ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისკენ, საქართველოში მოქმედი სამთო საქმისადმი მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით. ობიექტის დამუშავებამ შესაძლოა გამოიწვიოს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესება, რაც საჭიროებს დამატებით შეფასებას.

პროექტის განხორციელება დაკავშირებულია საკმაოდ დიდ მასშტაბზე (დაახლოებით 16 ჰა.) ახალი ტერიტორიის ათვისებასთან, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

ღია კარიერული წესით დამუშავებისას მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე, გარდა ამისა, მოპოვებით სამუშაოებს თან ახლავს ვიბრაცია, სხვადასხვა დანადგარების მუშაობისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ჩანს წიაღისეულის მოპოვების კონკრეტული მეთოდი (მაგალითად, განხორციელდება თუ არა ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები), მოპოვების ხანგრძლივობა, ინფორმაცია საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ, ასევე, საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების წარმოქმნის საკითხი, რაც სალიცენზიო ფართობის გათვალისწინებით მოითხოვს დამატებით შესწავლას.

განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ ბიომრავალფეროვნებაზე და საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებულ ჰაბიტატებზე. როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტი ხვდება ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის ფარგლებში.

ობიექტის დამუშავებისას წარმოქმნილი ფუჭი ქანების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, მათი განთავსების მიზნით, საჭირო იქნება ახალი ტერიტორიების ათვისება და სანაყაროებისთვის შესაბამისი პროექტის შემუშავება. ამასთან დიდი რაოდენობით მოსახსნელი ნიადაგის საფარის და ფუჭი ქანების დასაწყობება/რეკულტივაცია მოითხოვს რეკულტივაციის დეტალური პროექტის შემუშავებას 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილების შესაბამისად.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე გამარმარილოებული კირქვის მოპოვება თავისი მასშტაბით და მოპოვების მეთოდით (ღია კარიერული წესით) გამოწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

ზემოქმედებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1-ე ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული კირქვა) მოპოვება **დაეკეზიდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე 8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გაცლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინგრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1441/01
06/02/2020

საქართველო
GEORGIA

1441-01-2-202002061644



სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გიგზავნით, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული კირქვა) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №2-114 ბრძანებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბრძანების სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე





N 8/85
13/01/2020

85-8-2-202001131510



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის პირველ მოადგილეს
გიორგი ხანიშვილს

ბატონო გიორგი,

მიმდინარე წლის 9 იანვრის N230/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბოდბეში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 56.10.70.019) სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ გამარმარილოებული კირქვის მოპოვების მიზნით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი შესწავლილი იქნა სააგენტოს სიღნაღის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ.

აღნიშნული მიწის ნაკვეთი სოფლიდან დაშორებულია დაახლოებით 35 - 40 კმ-ით, არის ქვიანი და თიხნარი ნიადაგი.

ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, არ არის წინააღმდეგი ზემოაღნიშნულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე (ს/კ 56.10.70.019) განხორციელდეს კირქვის მოპოვებითი სამუშაოები. ამასთანავე, ლიცენზიის გამცემმა მიზანშეწონილია გაითვალისწინოს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს (სიღნაღის მერია) მოსაზრება მოცემულ საკითხზე და გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

პატივისცემით,

ილია თამარაშვილი

დირექტორი



N 299/11
22/01/2020

ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს ბატონ გიზო ჭელიძეს

გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის ნინო თხილაგას

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გიზო,

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილის (#5/76864 31.12.2019) პასუხად, რომელიც ეხება სიდნალის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბოდბის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 56.10.70.019) გამარმარილოებული კირქვის მოსაოფებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს. გაცნობებთ, რომ აღნიშნული ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

პატივისცემით,

ნინო თხილაგა



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი



გ ა კ ე მ ო ს ლ ა მ ე რ ა ლ ო
ს ო ფ ლ ის მ ა რ შ ა ლ ო
ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

N 861/01
24/01/2020

861-01-2-202001241204



ს ს ი ბ ს ა ხ ე ლ შ ი ფ ო ქ ო ნ ე ბ ის ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ა გ ე ნ ტ ო ს
ს ა ჯ ა რ ო ს ე კ ტ ო რ თ ა ნ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ის ს ა მ ს ა ხ უ რ ის უ ფ რ ო ს ს
ბ ა ტ ო ნ დ ა ვ ი თ მ ი ქ ა მ ე ს

ბ ა ტ ო ნ ო დ ა ვ ი თ .

თქვენი (N5/76864 31.12.2019წ.) წერილის პასუხად, რომელიც შეეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბოდბის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 56.10.70.019) გამარმარილოებული კირქვის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს. გაცნობებთ, რომ სალიცენზიო ტერიტორია პრობლემას არ უქმნის მიმდებარე ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, შესაბამისად სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი გაიცეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

დანართი: 2 ფურცელი.

პ ა ტ ი ვ ის ც ე მ ი თ .

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, 4200, ქ. სიღნაღი, დ.აღმაშენებლის მ.2

ტელ: 0355-23-21-63

Davit Aghmashenebeli square, Signagi, 4200, Georgia

Tel: 0355-23-21-63


N 05/372
31/01/2020

372-05-2-202001311703



სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

თქვენი 2019 წლის 23 დეკემბრის 22/9565 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სოფ. ბოდბეში თქვენს მიერ მითითებული სალიცენზიო ობიექტი განთავსებულია პირუტყვის გადასარევი ტრასის მიმდებარედ. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ არ დაზიანდება პირუტყვის გადასარევი ტრასა და ამასთან არ დაზარალდება კერძო ინტერესები, გამარმარილოებული კირქვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა მუნიციპალიტეტის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.

გიორგი გოგილაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია





KA021783402826820

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოNATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTYთბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. 49ა
ტელ: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/6950

03 / თებერვალი / 2020 წ.

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განსახილველად შემოსული თქვენი 24.12.2019წ. № 22/9588 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია წერილში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაიცეს ლიცენზია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 24.01.2020წ. N861/01 წერილით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი თქვენს მიერ ზემოხსენებულ კორექსონდენციაში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი პირობებით:

- ლიცენზიის მფლობელის მიერ გაიცემა თანხმობა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

- ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას;

- სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.

ამ პირობების დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში ლიცენზია ჩაითვლება აუცილებელი თანხმობის გარეშე გაცემულად.

დანართი: 3 ფურცელი;

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

1.5

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საპყევუნჯებო
ღაწესაბუღება - საქართველოს
სასაზღვრო პოლიცია



MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY - BORDER POLICE OF GEORGIA



MIA 4 20 00064601



10/01/2020

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი
წიაღის ეროვნულ სააგენტოს უფროსის
პირველ მოადგილეს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

2019 წლის 24 დეკემბრის თქვენი N22/9589 წერილის პასუხად, რომელიც ეხება, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბოდბის მიმდებარე ტერიტორიაზე გამარმარილოებული კირქვის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებას, გაცნობებთ, რომ სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო (ადმინისტრაციული) საზღვრის მიმდებარე 5-კილომეტრიან სასაზღვრო ზონაში, ხოლო მისი უახლოესი წერტილი სახელმწიფო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით:

- ა) პირველი უბანი, 143 150 კვმ მიწის ნაკვეთი - 1940 მეტრით;
- ბ) მეორე უბანი, 20 810 კვმ მიწის ნაკვეთი - 2700 მეტრით.

"საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დროს დაცული უნდა იყოს "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე და 27-ე მუხლების მოთხოვნები. პირმა, რომელიც აპირებს ასეთი საქმიანობის განხორციელებას, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხასიათი, ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ადგილი, დრო და ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირის ვინაობა.

ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი" ადგენს სასაზღვრო რეჟიმს სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში. სასაზღვრო რეჟიმი ამ კანონის შესაბამისად აზუსტებს სამუშაოთა წარმოების, პირთა შესვლას, დროებით ყოფნას და გადაადგილების წესებს სასაზღვრო ზონაში.


"საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში პირისა და ტრანსპორტის შესვლა, დროებით ყოფნა და გადაადგილება ხდება საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და ტრანსპორტზე სათანადო დოკუმენტების წარდგენისას. სასაზღვრო ზოლში პირისა და ტრანსპორტის შესვლის ადგილი და დრო, გადაადგილების მარშრუტი, აგრეთვე მათი ყოფნის სხვა პირობები დგინდება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ „საქართველოს სახელმწიფო საზღვრი შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, ამ კანონის 33-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების დასკვნის საფუძველზე აუკრძალოს პირს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა, თუ მან შეტყობინებაში მიუთითა არასწორი მონაცემები და სამუშაოთა წარმოება ზიანს აყენებს გარემოს ან ადამიანთა ჯანმრთელობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წერილში მითითებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის პირობებში განისაზღვროს, რომ დაინტერესებულმა პირმა საქართველოს სასაზღვრო პოლიციას უნდა წარმოუდგინოს ინფორმაცია სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხასიათის, ტექნიკური საშუალებების, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობის, მონაწილეთა რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირის ვინაობის შესახებ.

პატივისცემით,

სსდ-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის
იურიდიული სამმართველოს უფროსი
ნერგაძე დავით



ადრესატები: **სსდ-საქ.სასაზღვრო პოლიცია შ.ს.ს.**

გეოსაინფორმაციო პაკეტი

როსი 1

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი - ავჭალის ტორფის საბადო
2	გენეტური ტიპი - დანალექი
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - აგრონომიული ნედლეული წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა
